პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 86 (13207) | სამშაბათი, 13 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.



## გულითადი მადლობა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მრავალი მისალმება და მილოცვა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გამარჯვების — კოსმონავტი მფრინავების პაველ ივანეს-ძე ბელიაევისა და ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვის ხომალდის „ვოსხოდ-2“ თვალსაჩინო გაფრენისა და კოსმოსურ სივრცეში თანამგზავრი ხომალდიდან საბჭოთა ადამიანის მსოფლიოში პირველად გასვლის განხორციელების გამო.

სახელმწიფო, პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფაბრიკებისა და ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივთა, მეცნიერების, კულტურისა და განათლების მოღვაწეთა, ჩვენი ქვეყნის ცალკეულ მოქალაქეთა, საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების, პოლიტიკურ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა, მეცნიერთა და სხვა პირთა გულთბილი მისალმებანი და მილოცვები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აღიარებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უდიდესი მიღწევები კოსმოსური სივრცის ათვისებაში მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან ყველა სახელმწიფო, აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა მოქალაქეს მათი მისალმებებისა და საბჭოთა ხალხისადმი კეთილი სურვილებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# კოსმოსური ერის გაზაფხული

## საზეიმო კრება მოსკოვში

ეჯერ მეოთხედ გაზაფხულის მზის სხივებთან ერთად მოდის პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა დღესასწაული — კოსმონავტიკის დღე. 12 აპრილს ეს დღე მოსკოველებმა და მოსკოვის სტუმრებმა აღნიშნეს საზეიმო კრებით კრემლის ყრილობათა სასახლეში.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, მეცნიერები, წარმოების მოწინავენი.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

მან სიტყვა მისცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს მ. ვ. კელდიშს. მეცნიერმა ილაპარაკა წარმატებებზე სამყაროს ათვისებაში, რასაც მეცნიერებამ მიაღწია კოსმოსური ერის შვიდნახევარი წლის განმავლობაში.

მოსკოვის შრომითი გვარდიის წარმომადგენელმა ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის მღარავმა დ. ს. მიხაილიჩენკომ მოსკოვის მშრომელთა სახელით გულთბილად მიულოცა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, მუშებს, კოსმოსის გმირებს საყოველთაო სახალხო დღესასწაული — კოსმონავტიკის დღე.

კრემლის ყრილობათა სასახლეში საზეიმო სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს კოსმონავტმა მფრინავებმა ვ. მ. კომაროვმა, პ. ი. ბელიაევმა, ა. ა. ლეონოვმა, რომლებსაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი.

დედაქალაქის ხელოვნების ოსტატებმა გამართეს დიდი კონცერტი კოსმოსის დამპყრობთა პატივსაცემად.

საღამოს მოსკოვმა სადღესასწაულო სალუტით აღნიშნა კოსმონავტიკის დღე. რაკეტების — ფერადფერადი ილუმინაციების ფეიერვერკით აღნიშნეს საყოველთაო სახალხო დღესასწაული მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებმა და გმირმა ქალაქებმა. (საქდესი).

## საზეიმო კრება თბილისში

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, ზეიმით აღნიშნეს ყველაზე ახალგაზრდა დღესასწაული — კოსმონავტიკის დღე.

კოსმონავტიკის დღეს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 12 აპრილს გაიმართა თბილისის ოფიცერთა სააოლქო სახლში.

აქ შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და მშენებლობათა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, ა. ტ. სტეჩენკო, რ. ი. ფრუიძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ქანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ა. ნ. ინაური, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ვ. მელაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი თ. პ. სტეპჩენკო, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ზ. მ. რატიანი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობა, თბილისის საწარმოთა მოწინავეები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ა. სალუქვაძემ.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

კრებაზე გამოვიდნენ პროფესორი ბ. ბალავაძე, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი ლ. აღაპიშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინჟინერი გ. ბალანჩივაძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. სიხარულიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ი. ნონეშვილი, რომელმაც წაიკითხა საბჭოთა კოსმონავტებისადმი მიძღვნილი ლექსი.

საზეიმო კრებაზე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ვ. ჩალაძემ წაიკითხა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, რომ კოსმონავტების სახელი ეწოდოს ახალ მაგისტრალს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე დიდუბის ხიდიდან ჩელუსკინელთა ხიდამდე.

კრება დახურულად ცხადდება. სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

დასასრულ საზეიმო კრების მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

# ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

## I.

### ზოგადი დებულებანი

1. კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადს იხდიან სასოფლო-სამეურნეო არტელები, აგრეთვე მეთევზეობის არტელები, რომლებსაც შემოსავალი აქვთ სოფლის მეურნეობიდან, დამხმარე საწარმოებიდან და სამსახურის გაწევიდან.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება:

ა) კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალი, რომელიც მიღებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან, სამსახურის გაწევიდან და დამხმარე საწარმოებიდან და სარეწაოებიდან. შემოსავლის იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც შეესაბამება 15 პროცენტ რენტაბელობას, აგრეთვე კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის გადასახდელთა გამოკლებით, რომლებიც გამოანგარიშებულია მოცემული წლისათვის;

ბ) კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდის ნაწილი, რომელიც აღემატება საშუალო თვიურ ხელფასს მეურნეობაში მომუშავე ერთ კოლმეურნეზე გაანგარიშებით, იბეგრება იმ ოდენობით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აწესებს მეურნეობის რენტაბელობის მიუხედავად.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება თევზჭერის შემოსავალი, რასაც მეთევზეობის არტელები იღებენ სახელმწიფო დამამზადებლებისა და კოოპერაციისათვის თევზჭერის პროდუქციის ჩაბარებით.

2. საშემოსავლო გადასახადის გამოსაანგარიშებლად კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალი განისაზღვრება როგორც სხვაობა იმ თანხასა, რასაც შეადგენს პროდუქციის რეალიზაციით, სამსახურის გაწევით მიღებული ამონაგები და კოლმეურნეთა და კოლმეურნეობაში სამუშაოდ მოწვეულ პირთა შრომის ასანაზღაურებლად გათვალისწინებული პროდუქციის ღირებულება (სახელმწიფო საცალო ფასებით), და ამ პროდუქციისა და გაწეული სამსახურის თვითღირებულებას შორის.

მეურნეობის რენტაბელობის დონე განისაზღვრება პროცენტით, როგორც შეფარდება კოლმეურნეობის წმინდა შემოსავლის თანხისა რეალიზებული პროდუქციის, გაწეული სამსახურის და იმ პროდუქციის თვითღირებულებასთან, რომელიც შრომის ანაზღაურების წესით უნდა მიეცეთ კოლმეურნეებსა და კოლმეურნეობაში სამუშაოდ მოწვეულ პირებს.

## II.

### გადასახადის თანხის გამოანგარიშების წესი და გადასახადის გადახდის ვადები

3. ერთი წლის საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშება წარმოებს კოლმეურნეობის დასაბეგრი წმინდა შემოსავლის 12 პროცენტის ოდენობით, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრი ნაწილისა იმ ოდენობით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აწესებს.

4. წლის განმავლობაში კოლმეურნეობები საშემოსავლო გადასახადს იხდიან ყოველკვარტალურად მიმდინარე წლის შემოსავლიდან.

მიმდინარე წლის I, II და III კვარტალებში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხის გამოანგარიშება წარმოებს შესაბამისი კვარტალის საფინანსო ანგარიშებაში ნაჩვენები კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავლის იმ პროცენტის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება როგორც შეფარდება წინა წელს გამოანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის თანხისა კოლმეურნეობის ამავე წლის საერთო ფულადი შემოსავლის თანხასთან.

მიმდინარე წლის IV კვარტალში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხის გამოანგარიშება წარმოებს III კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის თანხის პროცენტების საფუძველზე, რომლებიც შემდეგნაირად არის დიფერენცირებული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის:

ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 50 პროცენტი;

რუსეთის სფსრ, საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 60 პროცენტი;

ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 80 პროცენტი;

უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ და თურქმენეთის სსრ კოლმეურნეობებისათვის — 100 პროცენტი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ გაადიდონ ან შეამცირონ IV კვარტალის საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების პროცენტი იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვალა ამ კვარტალის შემოსავლის ხვედრითი წონა მთელი წლის შემოსავლის საერთო თანხაში, აგრეთვე გააგრძელონ ერთი თვის ფარგლებში გადასახადის გადახდის ვადები კოლმეურნეობების ეკონომიურ თავისებურებათა მიხედვით.

5. საშემოსავლო გადასახადს კოლმეურნეობები იხდიან შემდეგ ვადებში:

25 აპრილისათვის — I კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლიდან გამოანგარიშებულ თანხას;

25 ივლისისათვის — II კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლიდან გამოანგარიშებულ თანხას;

25 ოქტომბრისათვის — III კვარტალის საერთო ფულადი შემოსავლიდან გამოანგარიშებულ თანხას;

1 დეკემბრისათვის — თანხას, რომელიც გამოანგარიშებულია III კვარტალის ფულადი შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადის თანხის დადგენილი პროცენტით (IV კვარტალის საშემოსავლო გადასახადი);

საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 1 მარტისათვის — თანხას, რომელიც გამოანგარიშებულია მთელი წლის დასაბეგრი წმინდა შემოსავლის საფუძველზე და I, II, III და IV კვარტალების გადასახდელთა ჩათვლით.

თუ საშემოსავლო გადასახადის თანხა, რომელიც გამოანგარიშებულია მთელი წლის დასაბეგრი წმინდა შემოსავლის საფუძველზე, I, II, III და IV კვარტალების გადასახდელების თანხაზე ნაკლებია, ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება მიმდინარე წლის მორიგ გადასახდელში ან საფინანსო ორგანო უბრუნებს კოლმეურნეობას მისი მოთხოვნით.

## III.

### გადასახადის შეღავათები

6. ახალმოსახლეთა მეურნეობებისაგან შექმნილ კოლმეურნეობებს, აგრეთვე იმ კოლმეურნეობებს, რომლებმაც თავიანთ შემადგენლობაში მიიღეს ახალმოსახლენი, საშემოსავლო გადასახადის გადახდაში შეღავათები ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება ენიჭება გაათავისუფლოს საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან კოლმეურნეობანი, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში კოლმეურნეობებს დაუწესოს გადასახადის შეღავათები სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების სტიმულირების მიზნით.

8. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ გადაუდონ საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადა ცალკეულ კოლმეურნეობებს და საჭირო შემთხვევებში ჩამოაწერონ კოლმეურნეობებს გადასახადის ნარჩენი რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე.

იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების შუამდგომლობით შეუძლიათ გადაუდონ საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადა სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ ცალკეულ კოლმეურნეობებს, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში სავსებით ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ ეს კოლმეურნეობანი გადასახადის გადახდისაგან შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

9. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ კოლმეურნეობებს (სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების, მრავალწლიანი ხეხილის ნარგავების ან ძირითადი ქონების დაღუპვა სეტყვის, წყალდიდობის, გრიგალის, მეწყერის, ხანძრის, მიწისძვრის, ზვავის მეწყრის შედეგად

დასასრული მე-2 გვერდზე

## მონღოლეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 12 აპრილი. (საქდესი). დღეს მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის მეთაურობით. დელეგაცია ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ვიზიტების დროს გაიმართა საუბრები, რომლებმაც ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში მოაწყეს საუზმე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დღისით მონღოლი სტუმრები იყვნენ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და გაეცნენ მის მუშაობას.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილებანი:

## ხორბლისა და ჭვავის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ

ხორბლისა და ჭვავის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა შემდეგი ოდენობით გადიდდეს და 1965 წლის 1 მაისიდან ძალაში შეყვანილ იქნას შესასყიდი ფასები ხორბლისა და ჭვავისა, რომლებსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობანი სახელმწიფოს მიჰყიდიან:

მანეთობით საბაზისო კონდიციების ერთი ტონისათვის შესასყიდი ფასები

| | კოლმეურნეობებისათვის | | საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის | |
|---|---|---|---|---|
| | ხორბალი | ჭვავი | ხორბალი | ჭვავი |
| რუსეთის სფსრ (გარდა ჩრდილო-დასავლეთის, ცენტრალური და ვოლგა-ვიატკის რაიონებისა, კალინინგრადის და პერმის ოლქებისა და უდმურტეთის ასს რესპუბლიკისა) | 86 | 81 | 59 | 63 |
| რუსეთის სფსრ ჩრდილო-დასავლეთის, ცენტრალური, ვოლგა-ვიატკის რაიონები, კალინინგრადისა და პერმის ოლქები და უდმურტეთის ასსრ, უკრაინის სსრ პოლესიეს რაიონები, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ | 130 | 130 | 130 | 130 |
| უკრაინის სსრ (გარდა პოლესიეს რაიონებისა) და მოლდავეთის სსრ | 76 | 76 | 45 | 45 |
| ყაზახეთის სსრ | 80 | 80 | 65 | 60 |
| ყირგიზეთის სსრ | 85 | 80 | 65 | 60 |
| უზბეკეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ | 90 | 85 | 90 | 85 |

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დავალებული აქვთ შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცონ ხორბლისა და ჭვავის შესასყიდი ფასები, ზონების მიხედვით დიფერენცირებული.

დაწესებულია და 1965 წლის 1 მაისიდან ძალაში შედის იმ ხორბლისა და ჭვავის შესასყიდი ფასების დანამატი 50 პროცენტის ოდენობით, რომლებსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობანი სახელმწიფოს მიჰყიდიან ხორბლის, ჭვავისა და სხვა მარცვლეული კულტურების მთელი დაწესებული გეგმის გადამეტებით.

გადიდებულია და 1965 წლის 1 მაისიდან ძალაში შედის რუსეთის სფსრ ჩრდილო-დასავლეთის ცენტრალური და ვოლგა-ვიატკის რაიონების ოლქების, კალინინგრადისა და პერმის ოლქების და უდმურტეთის ასსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ და უკრაინის სსრ პოლესიეს რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის ერთიანი შესასყიდი ფასები ქერისა (საფურაჟე) 90 მანეთის ოდენობით და შვრიისა 75 მანეთის ოდენობით საბაზისო კონდიციების ერთი ტონისათვის.

## ბრინჯის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მეურნეობებს, დაწყებული 1965 წლის მოსავლით, დაუწესა შესასყიდი ფასი 300 მანეთის ოდენობით საბაზისო კონდიციათა ტონა გაუწმენდავი ბრინჯისათვის.

რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს და ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, როცა მოიყვანენ მეურნეობაში (განყოფილებაში, ბრიგადაში, რგოლში) ბრინჯის უფრო დიდ მოსავალს, ვიდრე ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა იყო უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში, კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, რომლებიც ამ კულტურის თესვა-მოყვანაზე არიან დასაქმებული, დამატებითი ანაზღაურების სახით მისცენ ამავე წლების მანძილზე საშუალო წლიური საერთო მოსავლის გადამეტებით მოყვანილი ბრინჯის მარცვლის 25-დან 50-მდე პროცენტი. (სამუშაოთა მექანიზაციის დონის, ფართობისა და მიჩენილი მიწის ნაკვეთის მდგომარეობის, მოყვანილი მოსავლისა და სხვა პირობების მიხედვით).

მეურნეობებში (განყოფილებებში, ბრიგადებში, რგოლებში, რომლებმაც უკანასკნელ 4-5 წლის განმავლობაში მოიყვანეს 40 ცენტნერზე მეტი გაუწმენდავი

დასასრული მე-2 გვერდზე

# საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1965 წლის 3-დან 11 აპრილამდე სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პაკისტანის პრეზიდენტი ფელდმარშალი მოჰამედ აიუბ ხანი. ეს პაკისტანის პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იყო საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს პრეზიდენტმა აიუბ ხანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა, გარდა მოსკოვისა, მოიარეს ლენინგრადი, ტაშკენტი, სამარყანდი, გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების ზოგიერთ მხარეს. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, რაც ცხადყოფს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ გრძნობებს პაკისტანელი ხალხისადმი.

პაკისტანის პრეზიდენტსა და მის თანმხლებ ოფიციალურ პირებს შეხვედრები და საუბრები ჰქონდათ სსრ კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან — ლ. ი. ბრეჟნევთან, ა. ნ. კოსიგინთან, ა. ი. მიქოიანთან, კ. ტ. მაზუროვთან, ნ. ვ. პოდგორნისთან, დ. ს. პოლიანსკისთან და სხვებთან.

ამ საუბრების დროს, რომლებიც ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა სასარგებლო და გულახდილი გაზიარება ფართო წრის საკითხებზე — როგორც საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტზე, ისე ძირითად საერთაშორისო საკითხებზე.

საბჭოთა მთავრობამ და პაკისტანის მთავრობამ გამოთქვეს ურყევი რწმენა, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მტკიცე მშვიდობის დამყარებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ისინი შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ სსრ კავშირსა და პაკისტანს შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ამასთან იხელმძღვანელონ ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის პრინციპებით. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან საყოველთაო მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას, აგრეთვე იმას, რომ ყველა სახელმწიფო — დიდი და პატარა — ყოველ ღონეს ხმარობდეს, რათა მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრას დავა სხვა სახელმწიფოებთან.

ორივე მხარემ დაადასტურა ერთნაირი შეხედულებანი იმის შესახებ, რომ მტკიცე ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრა, ატომური იარაღის აკრძალვა და მისი მარაგის მოსპობა გადამწყვეტ როლს შეასრულებდა მშვიდობის განმტკიცებაში. მხარეები გადაჭრით გმობენ კოლონიალიზმსა და იმპერიალიზმს, ყოველ მათს ფორმასა და გამოვლინებას და მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ და უთუოდ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია ყველა კოლონიური ქვეყნისა და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, გმობენ ყოველგვარ ცდას ხელი შეუშალონ იმ ქვეყნების თავისუფალ ეროვნულ განვითარებას, რომლებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ დედამიწის ცალკეულ რაიონებში გამწვავდა მდგომარეობა, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ და პაკისტანის მთავრობამ გამოთქვეს თავიანთი თვალსაზრისი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი ვითარებისა და განსაკუთრებით ვიეტნამის ამბების გამო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა განმტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია როგორც საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის საშუალება და როგორც ორგანო, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოთა ნაყოფიერ თანამშრომლობას კაცობრიობის ინტერესებისათვის. ამასთან მათ მიაჩნიათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ იქნება სავსებით წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორგანო, სანამ იქ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ დაიკავებს ადგილს, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის.

შეეხნენ რა სსრ კავშირსა და პაკისტანს შორის ურთიერთობას, მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ამ ურთიერთობის განვითარების ახლანდელი მიმდინარეობის გამო. აღნიშნეს რა, რომ სსრ კავშირში პრეზიდენტის ვიზიტის დროს დაიდო 1965-1967 წლების სავაჭრო შეთანხმება, მხარეებმა გამოთქვეს სურვილი კვლავაც გამონახონ შესაძლებლობანი სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის. გამოითქვა სურვილი ხელი შეუწყონ ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, ხაზი გაესვა კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას.

მხარეთა აზრით, პაკისტანის პრეზიდენტის ვიზიტი სსრ კავშირში ხელს უწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. პრეზიდენტმა მოჰამედ აიუბ ხანმა სთხოვა ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ი. მიქოიანსა და ა. ნ. კოსიგინს ეწვიონ პაკისტანს ორივე მხარისათვის მოხერხებულ დროს. საბჭოთა ხელმძღვანელები დათანხმდნენ ამ მიწვევაზე. (საქდესი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

[illegible]

## წიწიბურას წარმოებისა და დამზადების სტიმულირების ღონისძიებათა შესახებ

[illegible]

## [illegible] ძვირფასი ჯიშების ფეტვის მარცვლის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ

[illegible] ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა იყო [illegible] 4-5 წლის განმავლობაში, ამ კულტურის თესვა-მოყვანაზე დასაქმებულ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს დამატებითი ანაზღაურების სახით მისცენ ამავე წლებში საშუალო წლიური საერთო მოსავლის გადამეტებით აღებული ფეტვის მარცვლის 25-დან 50-მდე პროცენტი (მოსავლიანობის ზრდის მიხედვით).

[illegible]

## მზესუმზირას თესლის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

[illegible] მზესუმზირას თესლისათვის, რომელიც სახელმწიფოს მიეყიდა წინა სამი წლის საშუალო დონის გადამეტებით, დაწესებულია ფულადი პრემირება კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა — 30 კაპიკის ოდენობით, ბრიგადირებისა და განყოფილებების (ფერმების) მმართველებისა — 40 კაპიკის ოდენობით. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრონომებსა და ინჟინრებს (მექანიკოსებს) აღნიშნული პრემია უნდა მიეცეთ იმ თანხის 80 პროცენტის ოდენობით, რომელიც დაერიცხება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორს: ბრიგადებისა და განყოფილებების (ფერმების) აგრონომებს, მექანიკოსებს — იმ თანხის 80 პროცენტის ოდენობით, რომელიც დაერიცხება ბრიგადირს ან განყოფილების (ფერმის) მმართველს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორს და კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტებს აღნიშნული პრემიები ეძლევათ, როცა გადააჭარბებენ მზესუმზირას თესლის შესყიდვის წინა სამი წლის საშუალო დონეს მთლიანად კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო ბრიგადის, განყოფილების (ფერმის) მმართველსა და ბრიგადის, განყოფილების (ფერმის) სპეციალისტებს — ამ დონის გადაჭარბებისათვის ბრიგადაში ან განყოფილებაში (ფერმაში).

ზემოაღნიშნულ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვის ძირითად განაკვეთს (ხელფასს) წელიწადში, ხოლო მეურნეობებში, სადაც არის საფაბრიკო მზესუმზირასა და შაქრის ჭარხლის ნათესები, ორივე ამ კულტურისათვის მიღებული პრემიების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 8 თვის ძირითად განაკვეთს (ხელფასს) წელიწადში.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, განყოფილებათა მმართველებს, ბრიგადირებს და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტებს აღნიშნული პრემია ეძლევათ იმ პრემიათა გადამეტებით, რომლებიც გათვალისწინებულია პრემირების მოქმედი დებულებებით.

კოლმეურნეობებს, 1965 წლის მოსავლით დაწყებული, მიეყიდებათ მზესუმზირას ზეთი ოთხი კილოგრამის ოდენობით შეღავათიან ფასში (საცალო ფასის 50 პროცენტის ოდენობით), თვითეული ცენტნერი მზესუმზირას თესლისათვის, რომელიც სახელმწიფოს მიჰყიდეს უკანასკნელი სამი წლის გაყიდვის საშუალო დონის გადამეტებით.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად მიიღეს დადგენილებანი:

## სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის 1966-1970 წლების გეგმის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს მომავალი ხუთწლედის ყველა წლის, მათ შორის 1970 წლის, მარცვლის შესყიდვის გეგმა ყოველწლიურად 55,7 მილიონი ტონის (3,4 მილიარდი ფუთის) ოდენობით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ იმ მიზნით, რომ სავსებით უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა პურით მოსახლეობის მოსამარაგებლად და სახელმწიფოს სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, საჭიროდ ცნეს ხორბლისა და ჭვავის ზეგეგმითი შესყიდვა გადიდებულ ფასებში. დადგენილია, რომ მეურნეობებში ხორბლისა და ჭვავის ზეგეგმითი შესყიდვა გადიდებულ ფასებში წარმოებს ნებაყოფლობით საწყისებზე მეურნეობებისათვის დამატებითი დავალებების მიუცემლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დაევალათ ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 ივლისისა დასამტკიცებლად წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი გადიდებულ ფასებში ხორბლისა და ჭვავის ზეგეგმითი შესყიდვის მოცულობის შესახებ თვითეული რესპუბლიკისათვის ცალ-ცალკე და ჩვენი ქვეყნის რაიონებში ამ კულტურების მოსალოდნელი მოსავლის გათვალისწინებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს ზეთოვანი კულტურების თესლის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, გაუწმენდავი ბრინჯის, პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შესყიდვის მოკავშირე რესპუბლიკათა 1966-1970 წლების გეგმები.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან სამი თვის ვადაში მისცენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს მარცვლის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის 1966-1970 წლების გეგმები წლების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის 1966-1970 წლების გეგმების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიცემის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს დიფერენცირებული მიდგომა, თვითეული მეურნეობისადმი იმის გათვალისწინებით თუ როგორია მისი ეკონომიკის, სპეციალიზაციის განვითარების პერსპექტივები და რამდენი პროდუქცია (თესლი, საკვები) უნდა დარჩეს მეურნეობაში წარმოების გასაფართოებლად და კოლმეურნეთა პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო, საოლქო და რაიონული აღმასკომები მოვალენი არიან უზრუნველყონ:

— კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შეხამება იმ ღონისძიებებთან, რომლებიც მეურნეობათა სპეციალიზაციისათვის ხორციელდება, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ერთ რიგ მეურნეობებში ცალკეული დარგების შეკვეცა უნდა ანაზღაურდეს ამ დარგების განვითარებით სხვა მეურნეობებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოსათვის საჭირო პროდუქციის წარმოების გადიდება და შესყიდვის გეგმების შესრულება:

— რომ გაფართოვდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირდაპირი ურთიერთობა სამრეწველო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან, რაც საშუალებას მოგვცემს გავაიაფოთ დამზადება, დავაჩქაროთ მომხმარებლისათვის პროდუქტების მიწოდების ვადები და გავაუმჯობესოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხი;

— რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამი თვის ვადაში შეიმუშაონ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმები სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის 1966-1970 წლების მათთვის მიცემული სახელმწიფო გეგმების საფუძველზე.

დადგენილია, რომ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ვადები გათვალისწინებულია ხელშეკრულებებში, რომლებსაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დებენ დამამზადებელ ორგანიზაციებთან კულტურების მომწიფების ვადების წარმოების პირობებისა და პროდუქტების შენახვის მხედველობაში მიღებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გააუქმეს მარცვლის, მზესუმზირას და კარტოფილის შესასყიდი ფასების ყოველწლიური კორექტირების წესი, რომელიც აქამდე არსებობდა.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მარცვლის შესყიდვის 1965 წლის გეგმა დაადგინეს 55,7 მილიონი ტონის (3,4 მილიარდი ფუთის) ოდენობით და პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის გეგმა — 8,5 მილიონი ტონის ოდენობით (ცოცხალი წონით).

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს იმ მიზნით, რომ სავსებით უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა პურით მოსახლეობის მოსამარაგებლად და სხვა სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მოეწყოს ხორბლისა და ჭვავის ზეგეგმითი შესყიდვა გადიდებულ ფასებში. ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რჩევა ეძლევათ განიხილონ თავიანთი შესაძლებლობანი, რომ 1965 წელს ნებაყოფლობით საწყისებზე მიჰყიდონ სახელმწიფოს დამატებითი რაოდენობით ხორბალი და ჭვავი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თხოვნასთან დაკავშირებით შეიტანა ცვლილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის 1965 წლის დამტკიცებულ გეგმაში და შეამცირა კარტოფილის, შაქრის ჭარხლის (საფაბრიკო), ხამი ბამბის, სელის ბოჭკოს, ქერელის ბოჭკოს, მატყლის, კრაველისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის შესყიდვის გეგმები.

## შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური წახალისების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ დაწყებული 1965 წლიდან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შაქარი მიეყიდებათ შეღავათიან ფასში (კილოგრამი 38 კაპიკად) ჭარხლისათვის ღრმა მზრალად ხნულის თვითეულ ჰექტარზე 850 გრამის ანგარიშით, რაც გაუნაწილდებათ მექანიზატორებს, რომლებიც მზრალად ხვნაზე მუშაობდნენ და მინდვრის ზვინებად დაწყობილი შაქრის ჭარხლის თვითეულ ცენტნერზე 15 გრამის ანგარიშით, რაც გაუნაწილდებათ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, რომლებიც შაქრის ჭარხლის ზვინებად დაწყობაში მონაწილეობდნენ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაევალა დააწესოს შეღავათიან ფასში (კილოგრამი 38 კაპიკად) შაქრის მიყიდვის ნორმები მექანიზატორებისათვის, რომლებიც ზვინებად დამწყობ და განსატვირთავ მექანიზმებზე მუშაობენ, შემდეგი გაანგარიშებით — 3-5 გრამი ერთი ტონა გადმოტვირთული და ზვინებად დაწყობილი შაქრის ჭარხლისათვის ამ მანქანების წარმადობის მიხედვით.

გათვალისწინებულია, 1965 წლის მოსავლიდან დაწყებული, შაქრის ქარხნების ხარჯზე გაიცეს პრემიები გეგმის გადაჭარბებით გაყიდული ერთი ცენტნერი შაქრის ჭარხლისათვის: გეგმის 5 პროცენტამდე გადაჭარბების დროს — კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს — 4 კაპიკი, ბრიგადირს (რაზმის უფროსს) და განყოფილების მმართველს — 5 კაპიკი; გეგმის 5-დან 10 პროცენტამდე გადაჭარბების დროს — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს—8 კაპიკი, ბრიგადირს (რაზმის უფროსს) და განყოფილების მმართველს — 10 კაპიკი; გეგმის 10 პროცენტზე მეტით გადაჭარბების დროს — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს — 12 კაპიკი. ბრიგადირსა (რაზმის უფროსს) და განყოფილების მმართველს — 15 კაპიკი თვითეული ცენტნერი კონდიციური შაქრის ჭარხლისათვის, რომელიც ამ ფარგლებში გაყიდულია გეგმის გადაჭარბებით.

კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის აგრონომის, ინჟინრის (მექანიკოსის) და ინჟინერ ჰიდროტექნიკოსის (ჰიდროტექნიკოსის) პრემია სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის გეგმის გადამეტებით მიყიდვის გამო განისაზღვრება იმ თანხის 80 პროცენტის ოდენობით, რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორს დაერიცხა; ბრიგადის (რაზმის), განყოფილების აგრონომის, მექანიკოსის, ჰიდროტექნიკოსის პრემია განისაზღვრება იმ თანხის 80 პროცენტის ოდენობით, რომელიც დაერიცხა ბრიგადირს (რაზმის უფროსს), განყოფილების მმართველს, ხოლო მირაბის პრემია — იმ პრემიების საშუალო თანხის 80 პროცენტის ოდენობით, რომლებიც მათი ბრიგადების (რაზმების), განყოფილებების ბრიგადირებმა (რაზმების უფროსებმა), განყოფილებების მმართველებმა მიიღეს.

შაქრის ჭარხლის ზეგეგმითი გაყიდვის გამო ფულადი პრემიის ოდენობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის, როცა შაქრის ჭარხლის გაყიდვის მეურნეობის გეგმა 1 ათას ტონამდეა, არ უნდა აღემატებოდეს ორი თვის თანამდებობრივ განაკვეთს (საანგარიშსწორებო განაკვეთს), 1-დან 3 ათას ტონამდე — ოთხი თვის თანამდებობრივ განაკვეთს (საანგარიშსწორებო განაკვეთს). თუ გეგმა 3 ათას ტონას აღემატება — პრემია არ უნდა აღემატებოდეს ერთი მუშაკის ექვსი თვის თანამდებობრივ განაკვეთს (საანგარიშსწორებო განაკვეთს).

1965 წლის მოსავლიდან დაწყებული, შაქრის ქარხნების ხარჯზე წესდება სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების მთავარი აგრონომების, მთავარი ინჟინრების, ტექნიკური კულტურების (შაქრის ჭარხლის) აგრონომებისა და აგრონომ-ენტომოლოგების პრემირება, თუ მათთვის მიჩენილმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს შაქრის ჭარხლის გაყიდვის გეგმა — ერთი თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით, გეგმის 5-დან 10 პროცენტამდე გადაჭარბების დროს — 2 თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით და გეგმის 10 პროცენტზე მეტით გადაჭარბების დროს—3 თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით. სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებში, რომელთა შაქრის ჭარხლის (საფაბრიკო) ნათესების ფართობი 3 ათას ჰექტარზე ნაკლებია, აღნიშნული პრემიები სპეციალისტებს 50 პროცენტით უმცირდებათ.

(დასასრული)

# ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

# კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

და პირუტყვის გაწყვეტა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით შეიძლება გაუგრძელდეთ გადასახადის გადახდის ვადა მიმდინარე წლის ფარგლებში.

## IV.

## პასუხისმგებლობა გადასახადის გადაუხდელობისათვის

10. საშემოსავლო გადასახადის სწორად გამოანგარიშებისა და დროულად გადახდისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კოლმეურნეობის გამგეობას.

კოლმეურნეობის გამგეობა მოვალეა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებით შესაბამის საფინანსო ორგანოში წარადგინოს:

ა) მიმდინარე წლის I, II და III კვარტალების საერთო ფულადი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებანი.

III კვარტალის ფულადი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადის თანხის გაანგარიშებასთან ერთად კოლმეურნეობანი მოვალენი არიან წარადგინონ IV კვარტალის საშემოსავლო გადასახადის თანხის გაანგარიშება;

ბ) საანგარიშგებო წლის დაბეგრილი წმინდა შემოსავლის, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრი ნაწილისა და მთელი წლის საშემოსავლო გადასახადის თანხის გაანგარიშებანი.

11. საშემოსავლო გადასახადს კოლმეურნეობანი იხდიან პირველ რიგში. დადგენილ ვადებში გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხები ჩამოიწერება კოლმეურნეობათა მიმდინარე ანგარიშებიდან (გარდა განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიშებისა) იმ წესით, რომელიც სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დადგენილია ბიუჯეტში გადასახდელთა შეტანის შესახებ.

გადასახდელის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დაწესებულია საურავი 0,05 პროცენტის ოდენობით ყოველი გადაცილებული დღისათვის.

12. განცხადებებისა და საჩივრების შეტანა ვერ შეაჩერებს გადასახადის გადახდევინებას.

იმ შემთხვევებში, როცა გადაწყვეტილება გამოტანილია კოლმეურნეობის სასარგებლოდ, არასწორად შემოსული თანხა კოლმეურნეობას უბრუნდება არაუგვიანეს 10 დღისა გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

13. საფინანსო ორგანოებს ეკისრებათ კონტროლი გაუწიონ კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადის სწორად გამოანგარიშებას და დროულად გადახდას.

საფინანსო ორგანოები კვარტალური საფინანსო ანგარიშგებისა და წლიური საბუღალტრო ანგარიშგების და ბალანსების მონაცემების მიხედვით, აგრეთვე კოლმეურნეობების იმ შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით, რომლებსაც კოლმეურნეობების გამგეობანი ადგენენ, ამოწმებენ საშემოსავლო გადასახადის კვარტალურ და წლიურ გაანგარიშებებს.

თუ საშემოსავლო გადასახადის თანხა სწორად არ არის განსაზღვრული, წარმოებს გადასახადის თანხის შესაბამისი გადაანგარიშება.

* * *

14. ამ ბრძანებულების გამოყენების ინსტრუქციას გამოსცემენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

15. ეს ბრძანებულება ძალაში შედის კოლმეურნეობების 1966 წლის შემოსავლის დაბეგვრის დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წ. 10 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ცხოვრება

## მილიონთა სახელით

საბჭოთა კავშირის მშრომელები დიდი აღშფოთებითა და გულისწყრომით შეხვდნენ ცნობებს იმის შესახებ, რომ ამერიკის მხედრიონმა ახალი ბოროტმოქმედება ჩაიდინა თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, რომ ბარბაროსულად ბომბავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს.

საკავშირო პროფსაბჭო თავის განცხადებაში საბჭოთა პროფკავშირების 70 მილიონი წევრის სახელით მხურვალედ იწონებს იმ ღონისძიებებს, რასაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ქმედითი დახმარების გასაწევად, და რომლებიც შეესაბამებიან მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიის წინაშე.

საბჭოთა კავშირის მუშები და მოსამსახურენი მზად არიან გაუწიონ ყველაზე მტკიცე დახმარება სამხრეთვიეტნამელ ხალხს წმიდათაწმიდა ბრძოლაში ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საკავშირო პროფსაბჭომ გადაწყვიტა პროფკავშირების სახსრებით შეიძინოს და ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციასა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის მშრომელთა ასოციაციას გაუგზავნოს სურსათი, სატრანსპორტო საშუალებანი, მედიკამენტები, ხალიჩრო და სხვა მასალები.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო საბჭოთა კავშირის მუშებისა და მოსამსახურეების სახელით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებზე ბანდიტური თავდასხმები, გამოიყვანოს შეიარაღებული ძალები სამხრეთ ვიეტნამიდან. განუხრელად შეასრულოს ჟენევის შეთანხმებანი.

## შეწყდეს აგრესია

**ბუდაპეშტი.** ჩვენ ერთსულოვნად, გმირი ვიეტნამელი ხალხის მხარეზე ვართ, წერენ სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოსადმი გაგზავნილ დეპეშაში კვების მრეწველობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშები. ჩვენ მხარს ვუჭერთ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, გვახარებს მისი წარმატებანი და გამოვთქვამთ რწმენას, რომ გაიმარჯვებს ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე.

ვიეტნამელი პატრიოტებისადმი სოლიდარობა გამოთქვეს უნგრელმა მშენებლებმა, ოროსლანის მეშახტეებმა, ნოგრადის ოლქის ქალაქებმა. ისინი მოითხოვენ შეწყდეს ბინძური ომი ვიეტნამში.

**ნიუ-იორკი.** „შეწყდეს მკვლელობა ვიეტნამში", „შეწყდეს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა" — ასეთი ლოზუნგებით ნიუ-იორკში გაიმართა საპროტესტო მარში ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების უგუნური პოლიტიკის წინააღმდეგ. მარშის მონაწილეებმა გაიარეს ქალაქის ცენტრალური ნაწილი კოლუმბის მოედნიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობისაკენ, სადაც გაიმართა საერთო საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო რვა ათასზე მეტი კაცი. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა დაგმეს ამერიკის სამხედრო პროვოკაციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოუწოდეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ყურად იღოს ხალხის ხმა და, სანამ გვიან არ არის, შეწყვიტოს მოქმედება, რასაც შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს.

**პარიზი.** ამ დღეებში საბჭოთა კავშირის პარიზის საელჩო საფრანგეთის ყოველი კუთხიდან იღებს წერილებს, რომელთა ავტორები გამოთქვამენ შეშფოთებასა და გულისწყრომას იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

„მოვითხოვთ ამერიკის მთავრობისაგან, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია სამხრეთ ვიეტნამში და შეწყვიტოს საომარი მოქმედება ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ", — წერენ მეციდან გამოგზავნილ წერილში კომუნისტები — ჟოლიო-კიურის სახელობის უჯრედის წევრები,— „ისე როგორც ჩვენი უბნის ყველა მცხოვრები, — ნათქვამია წერილში, — ჩვენც აღშფოთებული ვართ, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები ბანდიტურად ესხმიან თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას — თავისუფალ, მშვიდობიან და დამოუკიდებელ ქვეყანას.

**ტოკიო.** იაპონიის სოციალისტური პარტიის აღმასკომმა მოსთხოვა შეერთებულ შტატებს, რომ შეწყვიტონ საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და მომწამვლელი გაზების გამოყენება სამხრეთ ვიეტნამში. აღმასკომმა მოითხოვა აგრეთვე, რომ სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის ჯარები.

„ამერიკის" შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში ჩარევა", „პროტესტს ვაცხადებთ იმის გამო, რომ ამერიკელები ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას!" — ასეთი ლოზუნგებით ნახაში (ოკინავის ადმინისტრაციული ცენტრი) გაიმართა მიტინგი და დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ომს ეწევიან ვიეტნამში.

**ვაშინგტონი.** ვაშინგტონში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების 60-ზე მეტი უნივერსიტეტის დაახლოებით 100 პროფესორი და მასწავლებელი, რათა მთავრობასა და კონგრესის წევრებს განუცხადონ თავიანთი დიდი შეშფოთება და უკმაყოფილება იმის გამო, რომ ამერიკა ომის გაფართოების პოლიტიკას ახორციელებს ვიეტნამში.

ამერიკის უნივერსიტეტებში, თქვა ვაშინგტონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე დეტროიტის უნივერსიტეტის პროფესორმა ფაინშტეინმა, დიდად არიან შეშფოთებული და იმედგაცრუებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკით სამხრეთ ვიეტნამში. სულ ცოტა 15-20 ათასმა მასწავლებელმა საჯაროდ განაცხადა, რომ არ იწონებს ამერიკის პოლიტიკას ვიეტნამში.

ნიუ-ჯერსის შტატის უნივერსიტეტის პროფესორმა ბრაუნმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და საშუალება მისცენ ქვეყნის ხალხს თვითონ გადაწყვიტოს, თუ როგორ იცხოვროს შემდგომ.

(საქტაგი).



ეს მოჩვენებანი შუასაუკუნეების რაინდები როდი არიან. ასე ამხედრებული მიდიოდნენ კუკლუქსკლანელები თავიანთი ბნელი საქმეების საკეთებლად 50 წლის წინათ, როცა ეკრანებზე გამოვიდა გრიფიტის ფილმი „ერის დაბადება" (სურათზე თქვენ ხედავთ კადრს ამ ფილმიდან) და ასეა ახლაც — რასისტთა მეთოდები არ შეცვლილა.

## ახალი ბანდიტური თავდასხმა

**ჰანოი,** 12 აპრილი. (საქტაგი). გუშინ ამერიკის რეაქტიული თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

თვითმფრინავები თავს დაესხნენ ნგე-ანის პროვინციის დასავლეთი ნაწილის ბევრ რაიონს, ბატ ლონგ-ვის, ხონმატისა და კონ-კოს კუნძულებს.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის კავშირის მისიამ სასწრაფო წერილი გაუგზავნა ვიეტნამის მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიას. წერილში გადაჭრით აცხადებს პროტესტს ახალი აგრესიული აქტის წინააღმდეგ.

## სამძიმრის დეპეშა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის ამხანაგ კე ცინ-შის გარდაცვალების გამო.

(საქტაგი).

## ლაოსის პრობლემის მოწესრიგებისათვის

ჰანოი, 12 აპრილი. (საქტაგი). როგორც რადიოსადგურმა „პატეტ-ლაოს ხმამ" გადასცა, ლაოსის ეროვნული ერთობის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, ნეო ლაო ხაკ სატის პარტიის თავმჯდომარემ პრინცმა სუფანუვონგმა წერილი გაუგზავნა პრინც სუვანა ფუმას იმ საკითხზე, რომ მოწვეულ იქნეს ლაოსის სამი დაჯგუფების ხელმძღვანელთა თათბირი ლაოსის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით.

თავის წერილში პრინცი სუფანუვონგი აღნიშნავს, რომ „ახლანდელი სერიოზული მდგომარეობა ლაოსში შექმნეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა და მათმა ლაქიებმა. იმისათვის, რომ სტაბილური გავხადოთ ლაოსში შექმნილი მდგომარეობა, ლაოსის სამმა დაჯგუფებამ უნდა განიხილოს და მოაწესრიგოს გადაუდებელი პრობლემები ერთობლივი კომუნიკეებისა და შეთანხმებების საფუძველზე, რომლებსაც უკვე ხელი მოაწერა სამმა მხარემ, განსაკუთრებით იმ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც ხელმოწერილია ციურიხსა და სურების ხეობაში.

პრინცმა სუფანუვონგმა წამოაყენა წინადადება უახლოეს ხანში მოეწყოს ლაოსის სამი დაჯგუფების წარმომადგენელთა მოსამზადებელი თათბირი, რათა შეათანხმონ ამ დაჯგუფებათა ხელმძღვანელების შეხვედრის ადგილი.

## რეიბორნის კარიერა

**ნიუ-იორკი,** 12 აპრილი. (საქტაგი). პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გადამდგარი ადმირალი უილიამ ფ. რეიბორნი დანიშნა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსად. რეიბორნმა ამ პოსტზე შეცვალა მაკკოუნი, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი იყო 1961 წლიდან.

**ნიუ-იორკი,** 12 აპრილი. (საქტაგი). ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი არის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის თავმჯდომარე. ტეხასის მკვიდრი, 59 წლის რეიბორნი პენტაგონის თვალსაჩინო მოღვაწეა. ფლოტში სამსახურის უკანასკნელ წლებში იგი მუშაობდა „პოლარისის" რაკეტებით შეიარაღებული ატომური წყალქვეშა ნავების შექმნის საკითხებზე. როცა სამსახურიდან გადადგა 1963 წელს, რეიბორნმა დაიკავა დიდი სამხედრო კონცერნის „აეროჯეტ ჯენერალ კორპორეიშენის" ვიცე-პრეზიდენტის პოსტი. ეს კონცერნი აწარმოებს რაკეტებს. ამრიგად, ვიცე-ადმირალი ერთდროულად წარმოადგენს პენტაგონსაც და სამხედრო-სამრეწველო ბიზნესსაც, — ძალებს, რომლებიც, ბევრი ამერიკელი მოღვაწის აზრით, ავბედით ზეგავლენას ახდენს შეერთებული შტატების პოლიტიკაზე.

## უმუშევრობა ბრაზილიაში

**რიო-დე-ჟანეირო,** 12 აპრილი (საქტაგი). ბრაზილიის სან-პაულოს შტატის გუბერნატორმა ადემარ დე ბაროსმა განაცხადა, რომ შტატში ამჟამად არის დაახლოებით 200 ათასი უმუშევარი, რომელთაგან ნახევარი შტატის დედაქალაქშია. გაზეთ „კორეიო და მანიას" მონაცემებით, უმუშევართა რიცხვი შტატში მარტო სამრეწველო მუშებს შორის ყოველდღიურად ათასი კაცით იზრდება.

უმუშევრობა იზრდება აგრეთვე ბრაზილიის სხვა რაიონებში. შაქრის მრეწველობაში კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. იმასთან დაკავშირებით, რომ დაიხურა ქარხნები, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მუშები და მათი ოჯახები. მკვეთრად გაიზარდა შიმშილით გამოწვეული სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ბავშვებს შორის.

## ბაჰრეინის კუნძულებზე

**კაირო,** 10 აპრილი. (საქტაგი). ქალაქ ალ-მუჰარაკის (ბაჰრეინის კუნძულები) ქუჩები კვლავ შეიღება პატრიოტთა სისხლით, ბევრია დახოცილი და დაჭრილი, იტყობინება კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაძაბულობამ ბაჰრეინში უმაღლეს წერტილს მიაღწია იმის შედეგად, რომ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებმა უარი თქვეს ამ ქვეყანაში შეეშვათ არაბი იურისტები, რათა დაეცვათ საპყრობილეში მყოფი პატრიოტები, რომლებიც ინგლისის კოლონიური ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძვიან.

## ოკუპანტები დაზარალდნენ

კაირო, 10 აპრილი. (საქტაგი). „პატრიოტებმა მოულოდნელად იერიში მიიტანეს ინგლისის ჯარებზე დალის რაიონში, რის შედეგად დახოცეს 15 ინგლისელი ჯარისკაცი"; — ნათქვამია არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის წარმომადგენლობის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში. ამას იუწყება მენის სააგენტო.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ინგლისის სამხედრო ნაწილებმა მთელი რიგი სადამსჯელო ექსპედიციები მოაწყეს აჯანყებულთა ძალების წინააღმდეგ, მაგრამ პატრიოტებმა ნაღმთსატყორცნის ცეცხლის დახმარებით შეძლეს მძიმე ზარალი მიეყენებინათ მტრისათვის.

## საქმიანი ურთიერთობა

ჯაკარტა. აქ ხელი მოაწერეს ოქმს საქონელგაცვლის შესახებ ინდონეზიასა და ბულგარეთს შორის 1965 წლისათვის. ინდონეზია ბულგარეთს მიაწვდის კაუჩუკსა და სხვა საქონელს ელექტრომოწყობილობის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქციის ნაცვლად.

კაირო. აქ ხელი მოაწერეს სავაჭრო ოქმს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ბულგარეთს შორის 1965-1966 წლებისათვის. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ბულგარეთში გაიტანს ბამბის ქსოვილებს, სურსათს, ფოსფატებსა და სხვადასხვა სამრეწველო საქონელს, ბულგარეთიდან შემოიტანს მანქანებს, ელექტრომოწყობილობას, ხე-ტყეს, თამბაქოსა და ქიმიურ პროდუქტებს.

(საქტაგი).

## „ნიცის ბანკი" გაკოტრდა

**პარიზი.** „ნიცის ბანკმა" შეწყვიტა არსებობა. ფინანსთა მინისტრმა განკარგულება გასცა ბანკის დახურვის შესახებ გაკოტრების გამო. ბანკის დირექტორმა თავი მოიკლა. „ნიცის ბანკის" 2.500 მეანაბრე ვერ მიიღებს 7 მილიარდ ძველ ფრანკს.

## ღირსების საქმე

პოლიტიკურმა, ეკონომიურმა, კულტურულმა და მეცნიერულმა ურთიერთობამ, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, კარგი ნიადაგი შეუქმნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებასა და გაღრმავებას, თუ ამ თანამშრომლობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ორივე ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენები. ამ სიტყვებით დაახასიათა ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ი. ვიროლაინენმა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის ომისშემდგომი განვითარება საბჭოთა კავშირის საელჩოში გამართულ დარბაზობაზე, რომელიც სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების მე-17 წლისთავის გამო გაიმართა.

პრემიერ-მინისტრი შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის წარმატებით განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოს ვითარება, სამწუხაროდ, არ არის ამდენადვე ხელსაყრელი. ჩვენ ვიცით, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ ყველა ხალხის ცხოვრება დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობაზე. ჩვენ ვერ გავთიშავთ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის და საერთაშორისო ვითარებას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ქვეყნები ყურადღებას მიაპყრობენ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება დაარღვიონ საერთაშორისო მშვიდობა. ფინეთი უყოყმანოდ გამოიყენებს ყოველგვარ შესაძლებლობას, განაგრძო პრემიერმა, რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას. ჩვენ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ გამონათქვამებს, რომლებშიც საეჭვოდ არის მიჩნეული პატარა სახელმწიფოების როლი ამ საკითხების გადაჭრაში. ჩვენს თვალსაზრისს საფუძვლად უდევს ის, რომ თუ მსოფლიოს ყველა, დიდი თუ პატარა ხალხი ჩაებმება მშვიდობისათვის ბრძოლაში, შეიქმნება ერთიანი ფრონტი, რომელიც შეუძლებელს გახდის ომის განმეორებას.

## კატასტროფა შახტში

**ტოკიო.** „ნიტეცუ კოგიოს კომპანიის შახტში (იოძიმის კუნძული) მოხდა აფეთქება. მიწისქვეშ დარჩა 30-ზე მეტი კაცი. 12 მეშახტე გადაარჩინეს, მათ შორის ორი მძიმედ დაშავებულია. კატასტროფის მიზეზები ცნობილი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ აფეთქდა საწვავი გაზი. ამ შახტში სამუშაოები უნდა შეწყვეტილიყო საშიში პირობების გამო, მაგრამ მფლობელები აჭიანურებდნენ შახტის დახურვას, რადგან ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღოთ.

## დამნაშავეებს ათავისუფლებენ...

**ბონი,** 10 აპრილი. (საქტაგი). დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა საპატიმროდან გაათავისუფლეს ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკის — მაუტჰაუზენის ადმინისტრაციის „პოლიტიკური განყოფილების" ყოფილი ხელმძღვანელი კარლ შულცი და ერთ-ერთი სს-ელი ანტონ შტრაიტვიზერი, რომელიც ზედამხედველად იყო ამ სიკვდილის ბანაკში.

ორივე ნაცისტი დამნაშავე გაათავისუფლეს მიუხედავად იმისა, რომ მათ წინააღმდეგ გამოძიება წარმოებს და ბრალად ედებათ მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმართა მასობრივ მკვლელობებში მონაწილეობა.

## ახალი ძალები

**ნიუ-იორკი,** 10 აპრილი. (საქტაგი). და-ნანგში საზღვაო ქვეითი ჯარის ახალი კონტინგენტის ჩასვლით ამერიკის ჯარების რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში 30 ათას კაცს გადააჭარბებს.

ამასთან დაკავშირებით ასოშიეიტედ პრესის სააგენტო პირდაპირ წერს, რომ ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ვიეტნამის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში.

## ხო ში მინის გამოსვლა

ჰანოი. (საქტაგი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა გააკეთა განცხადება ვიეტნამის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. იაპონიის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, პრეზიდენტმა თქვა:

ვიეტნამელი ხალხი ესწრაფვის მშვიდობას, და იგი ყოველთვის პატივს სცემდა და ზუსტად იცავდა ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს. მაგრამ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე იბრძოლოს აგრესორთა წინააღმდეგ. თუ ამერიკელი იმპერიალისტები ჯიუტად განახორციელებენ აგრესიისა და ომის პოლიტიკას, ისინი, უეჭველია, დამამცირებელ მარცხს განიცდიან. სამხრეთ ვიეტნამის საკითხის გადასაჭრელად საჭიროა უწინარეს ყოვლისა, რომ შეერთებულმა შტატებმა დატოვონ სამხრეთი ვიეტნამი, შესაძლებლობა მისცენ სამხრეთვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაჭრას საკუთარი საქმეები და შეწყვიტონ პროვოკაციული თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ამ ძირითადი პუნქტების შესრულების შედეგად შეიქმნება ხელსაყრელი პირობები, რომ მოეწყოს ჟენევის 1954 წლის თათბირის მსგავსი თათბირი. ასეთია გონივრული მიდგომა, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმეს და რაც შეესაბამება თვით ამერიკელი ხალხის ინტერესებს.

ამერიკელი მმართველები, განაცხადა ხო ში მინმა, ამტკიცებენ, თითქოს ჩრდილოეთ ვიეტნამი ახორციელებდეს აგრესიას სამხრეთ ვიეტნამში. ეს ყალბი მტკიცებანია, რომელთა მიზანია მოატყუონ მსოფლიოს ხალხები და შენიღბონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქტები. სამხრეთვიეტნამელ ხალხს კანონიერი უფლება აქვს განდევნოს ამერიკელი აგრესორები, დაიცვას თავისი ქვეყანა და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი საშინაო საქმეები. როგორც ჩრდილოეთ ვიეტნამის, ისე სამხრეთ ვიეტნამის ხალხთა წმიდათაწმიდა უფლებაა იბრძოლონ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, დაიცვან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობა და თავიანთი სიცოცხლე.

გამარჯვების დღის შესახვედრად

## გმირი დობილები

### ომგადახდილი ქალიშვილის დღიურები

მაშინ ექთანად ვმუშაობდი ქ. თბილისში, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ვიყავი... იმედითა და სიხარულით ვხვდებოდი ახლად დამდგარ დღეს...

ასე იწყება ის დღიური, რომელიც ექთან ქალიშვილს ფატი ესეს ასულ გეგუჩაძეს უწარმოებია და დღემდე ძვირფასი განძივით შემოუნახავს.

ფატი დღეს სამი შვილის დედაა. სამტრედიის რაიონის სოფელ გორმაღალში მუშაობს საექიმო პუნქტში და მთელი კუთხის საყვარელი ექთანია.

ასეა დღეს. მაგრამ განვაგრძოთ მისი დღიურების კითხვა.

„1941 წლის 26 ივნისს გამოვცხადდი სამხედრო კომისარიატში. იქიდან პირდაპირ ჰოსპიტალში გამგზავნეს".

გასაგებია, თუ საითკენ წავიდოდა ახალგაზრდა ექთანის, კომკავშირელი ქალიშვილის გზა.

„მე, მარო ჩადუნელი და თამარ მაისურაძე, — განაგრძობს ფატი,—ერთ პალატაში ვმუშაობდით, ერთად ვდგებოდით, ერთად ვწვებოდით, ლუკმას ვიყოფდით და მედმუშაკის მძიმე ჩანთასთან ერთად შაშხანასა და სხვა საჭურველს დავატარებდით.

„დობილებს" გვეძახდნენ ჩვენი ბიჭები და გაზეთებშიც ხშირად წერდნენ ჩვენს დაუზარებელ მუშაობაზე".

მალე ექთანი გოგონების ეს სამეული თბილისიდან ფრონტისაკენ მიემართება.

ზაფხული და შემოდგომა მიდის ძლიერი ბრძოლების ცეცხლის ნიაღვარში. დიდი დანაკლისის ფასად მტერმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ჩვენი ქვეყნის შუაგულისაკენ მოიწევდა.

ფატი იმ ნაწილშია, რომელიც ყირიმისაკენ მიემართება და ქალაქ ქერჩზე იერიშს ამზადებს.

რუსული ზამთარი სრულ ძალაშია. სამხრეთში თითქოს უფრო უნდა თბილოდეს, მაგრამ წელს აქაც უცნაური ქარი და ყინვებია.

ყირიმში შესასვლელად უმოკლესი გზა ნოვოროსიისკიდან შავ ზღვაზე გადის, მაგრამ ამჟამად ეს გზა დანაღმულია. მტერი ბატონობს წყალში, ჰაერში და ხმელეთზეც.

1942 წლის 2 თებერვალს გაყინულ აზოვის ზღვას მიადგებიან და ახერხებენ ზედ გადასვლას და ქერჩში შეჭრას.

ყირიმის მიწას ცეცხლი უკიდია და იწვის. სიკვდილი დათარეშობს აღვირამოშვებული ბედაურივით და ყველაფერს სპობს და ანადგურებს.

ფატის დღიურში ძუნწი ცნობებია იქაური ამბების შესახებ.

ჩვენ ვთხოვეთ მოეთხრო ზოგიერთი რამ მოგონებებიდან.

ფატი თხრობაშიც ძუნწობას იჩენს. უფრო კი ცრემლი უბორკავს ენას, ცოტა კიდევ, და ქვითინიც აუტყდება. განა გულგრილად და აუღელვებლად შეიძლება იმ მძიმე დღეების მოგონება?

— ყირიმში ვართ, — იწყებს ექთანი, —დიდი სისხლისა და მსხვერპლის ფასად ვინარჩუნებთ მშობლიურ მიწას. ათასობით ვაჟკაცი ეწირება მის დაცვას.

პირველმა მაისმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. დღესასწაულიც აღვნიშნეთ შეძლებისდაგვარად. ჩვენმა ბიჭებმა წაქეიფებაც მოახერხეს, მაგრამ... ოთხი მაისიდან ატყდა თვალთუნახავი და გაუგონარი საშინელება. გამხეცებულმა მტერმა ახალი იერიშები წამოიწყო. ათასობით თვითმფრინავი აიჭრა ცაში, ასობით ტანკი და ქვემეხი ამოძრავდა და ახმაურდა. მიწა დაიძრა, ცა დაიმუხტა, ჰაერი მოიშხამა.

ფეთქდება, სკდება, ინგრევა ყველაფერი: ციდან, მიწიდან, ხის ტოტებიდანაც კი სიკვდილი ცვივა და ითესება.

და ასეთ დროსა და ვითარებაში აღარ იცი, თუ ვინა ხარ, ცოცხალი არსება, თუ ისეთივე უსულო მოძრავი საგანი, როგორიც ის ნაღმები, ბომბები და ყუმბარებია, რომლებიც ასე დაუზოგავად ანგრევენ და ანადგურებენ ადამიანთა ხელით შექმნილ-ნაშენებ ქვეყანას. ახლა არ არის შენში შიში სიკვდილისა და აფეთქებისა, პირიქით, გინდა იქცე ყველა ყუმბარაზე ძლიერ ყუმბარად, ყველა ნაღმზე უძლიერესად, ყველა ტყვიაზე უმალესად. გინდა შენც აფეთქდე, აგუგუნდე, აგრიალდე, ცეცხლად მოედო დედამიწას და მოსპო ყველაფერი ის, რამაც ამოდენა ნგრევა და მსხვრევა გამოიწვია.

მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება და უარესდება. მტრის მოძალებას ძლიერი წვიმებიც დაერთო და უკანდახევის საშუალებასაც აღარ იძლევა. ვერ ავუდივართ დაჭრილების მიღებასა და გადმოგზავნას. ჰოსპიტალს განუწყვეტლივ ბომბავენ. საუკეთესო ექიმები და სანიტრები გვეცლებიან ხელიდან. ექთანებიდან მხოლოდ რამდენიმე დავრჩით ცოცხალი. ჰოსპიტალი მწყობრიდან გამოვიდა. აღარავის მიშველება აღარ შეგვიძლია, მაგრამ რა გზა გვაქვს, უკანასკნელ ძალღონეს ვიკრებთ და დაჭრილებს ვეხმარებით. ვეხმარებით-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ჩვენი დახმარება წვეთია ზღვაში.

ჰოსპიტლის უფროსი კეცბა ყოჩაღობს და გვამხნევებს ყველას. გამოცდილი და კარგად დახელოვნებული ექიმი, იგი ჩვენი გული და სულია, მისი იმედი გვაქვს, მაგრამ ერთ დღეს...

— უნდა წახვიდეთ, თავს უშველოთ!— გვეუბნება ის ნაღვლიანად.

— შენ?! — გაკვირვებული შემყურებს მას მისი მეუღლე და მეგობარი ექიმი სუსანა სანამოვა.

— მე? თანაგრძნობით უცქერის ქმარი მეუღლეს. — აქ კიდევ ბევრი საქმეა. მებრძოლი საგუშაგოს ვერ მიატოვებს.

— მეც შენთან ვრჩები, — უყოყმანოდ ამბობს სუსანა.

— ჩვენც თქვენთანა ვართ, — ვიმეორებთ ჩვენც და ვცდილობთ იმედიანად და მხნედ ვიჩვენოთ. მაგრამ უფროსი ბრძანებას იმეორებს და უფროსის ბრძანება კანონია ამ შემთხვევაში.

მივდივართ ტირილ-ქვითინით. ერთი კვირაა არაფერი გვიჭამია, მაგრამ არა გვშია, რამდენი ხანია არ გვიძინია, მაგრამ არ გვეძინება, სიკვდილი კვალდაკვალ მოგვდევს, მაგრამ მისი არ გვეშინია; არ გვეშინია, მაგრამ გამოვრბივართ. გავურბივართ არა სიკვდილის საფრთხეს, არამედ მტრის ხელში ჩავარდნასა და საქვეყნო სირცხვილსა და დამცირებას.

რკინიგზის ერთ პატარა სადგურთან მოვაღწიეთ. აქაურობა ნანგრევებად არის ქცეული, მაგრამ ყუმბარებს მაინც უშენენ. თითოეულ მებრძოლს იღებენ მიზანში... კვლავ დაჭრილები, დახოცილები. ამ დაბომბვის დროს დაიჭრა ჩვენი ჰოსპიტლის ერთ-ერთი ახალგაზრდა ექიმი გიორგი ბოჭორიშვილი. სასწრაფო მიშველებაა საჭირო. მარჯვენა ფეხი უნდა მოეკვეთოს, თორემ სიკვდილი არ აშორდება. ოპერაცია უნდა გაუკეთდეს... მაგრამ სად, ვინ უნდა იკისროს ასეთი საქმის შესრულება? ამაზე არავინ დაფიქრებულა, ასეთ დროსა და პირობებში ყველგან საოპერაციო მაგიდა და კაბინეტია, ყველა ქირურგი და დასტაქარია.

საოპერაციო მაგიდის მაგიერობას სახლის ნანგრევებიდან გამოთრეული ხის კარი ასრულებს, კაბინეტად კი გადმოხურული ცა გამოვიყენეთ. ოპერაციის შემდეგ იმავე კარზე გავუშალეთ ლოგინი და მოფარებულ ადგილას დავასვენეთ, მაგრამ მისი კვნესა და გმინვა დილამდე არ შეწყვეტილა. დილით, როგორც იქნა, მატარებელმა მოაღწია ჩვენამდე. დაჭრილებთან ერთად ჩვენც შიგ მოვთავსდით და ქერჩისაკენ წამოვედით.

გადაწყვეტილია, ვტოვებთ ყირიმის მიწას. ვტოვებთ, მაგრამ შევძლებთ კი მის დატოვებას? ბევრი სულსა და ხორცს ტოვებს იქ. აზოვის ზღვის ყურე სისხლით არის შეღებილი. წყლის ზედაპირი დაჭრილ-დახოცილებით მოფენილა. დაჭრილები შველას ითხოვენ. ისევ ფაშისტების ბომბდამშენები ჩამოიქროლებენ, დახოცილებს დახოცილები ემატება, დაჭრილს—დაჭრილი. უკანდახეული მებრძოლებით დატვირთული პატარა გემები და ნავები ნაპირთანვე იძირება, მტრის ყუმბარებით აფეთქებული, მაგრამ მაინც გემებისა და ნავებისაკენ მიისწრაფვიან, მაინც სხდებიან შიგ და მეორე მხარისაკენ გასვლას ლამობენ.

ბნელი ღამეა. ფატი და მისი მეგობარი ექთანი მარო ჩადუნელი ერთ ნავში ახერხებენ ჩაჯდომას. ნავი დაზიანებულია, შიგ წყალი შედის, მაგრამ ამ წყალს თუნუქის ტოლჩებით ხაპავენ. მებრძოლებს კი ფიცრის ნამსხვრევები გამოუყენებიათ ნიჩბებად და ნავს მიაცურებენ, მაგრამ ფაშისტების მფრინავს შეუნიშნავი არ დარჩა ეს ამბავი და მაშინვე ბომბები დააყარა.

ნავი ჩაიძირა. ბევრი დაიღუპა, რამდენიმე მოკვდა. ფატი ერთმა მეთაურმა აიყვანა გულწასული და წყალში შეაცურა. მარო ჩადუნელიც იმ მეთაურს ჩამოეკიდა მხარზე და ცურვით გადმოლახეს აზოვის ზღვის ის ვიწრო ყურე, რომელიც ქერჩს უდევს საზღვრად დიდ მიწასთან.

ნაპირზე გამოსულები ხვდებიან თავიანთ სანიტრებს: მიქაბერიძეს, ბურნაძეს, მათი საყვარელი ექიმი სუსანა აბრამოვნაც გადარჩენილა. ეხვევიან ერთმანეთს, იმ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას ულოცავენ. მეორე დილით ექიმი ინასარიძე გამოჩნდა.

ქარიშხალი მატულობს. მტერი მოიწევს და კავკასიონის მთების კალთებს უახლოვდება. საფრთხე ამიერკავკასიას ემუქრება. ფატი და მისი თანამებრძოლები ახალორგანიზებულ ჰოსპიტალში ერთიანდებიან. ქერჩიდან ტუაფსემდე ფეხით გადმოიარეს, აქ შეისვენეს, მაგრამ განუწყვეტლივ დაბომბვას განიცდიან. აქაც აქტიურობს საზიზღარი მტერი.

ნუთუ ასე უნდა გაგრძელდეს?!

როცა ოდნავ შეწყდება დაბომბვა და დაფიქრების საშუალება მიეცემათ, საკუთარ დარდებს გაიხსენებენ. ფატი ოჯახზე ფიქრობს. მისი უმცროსი ძმა ფრონტზე გასულა. ალბათ ახლა ბალყარეთის მთებში შეჭრილ მტერს ერკინება. მოსწყდა ბიჭი სწავლას. მერე როგორ მონდომებული იყო სწავლა! იმას რომ რამე გაუჭირდეს, რა ეშველებათ მოხუც მშობლებს. რამდენი მშობელი, რამდენი ცოლი და შვილი აატირა ომმა.

უიმედობა და გულგატეხილობა იკიდებს ფეხს თანდათან.

მაგრამ მორჩა, გათავდა. უნდა დადგეს შურისგების დღე, და...

არც ერთი ნაბიჯი უკან!

დაჰკათ!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

და ფაშისტების დაკავებულ მიწას ცეცხლი მოედო. იწვის იმათ ფეხქვეშ ყველაფერი.

ფატი მიჰყვება საველე ჰოსპიტალს შეტევაზე გადასულ საბჭოთა ჯარებთან ერთად. მიჰყვება, მიადგამს ფეხს ნაცნობ მიწაზე, შედის იმ სოფლებსა და ქალაქებში, რომლებიც ორიოდე თვის წინ ცეცხლმიცემული და აწიოკებული დატოვა. მაშინ ტირილ-ქვითინით მოდიოდა, ახლა მხიარული და თავაღერილი მიაბიჯებს. მაშინ დამცირებული და შერცხვენილი მოდიოდა, ახლა ამაყი და კმაყოფილია.

ბრძოლები ახლა უფრო მკაცრია, სიცივეც მეტია, შიმშილიც, გაჭირვებაც, მაგრამ გამარჯვების მოლოდინში სიკვდილის შიში აღარ არსებობს. ყველაფერს ადვილად იტანენ და ურიგდებიან.

თავისუფლდება ყუბანი, დონი. უკან რჩება ხარკოვი, კიევი, ხმელნიცკი, ბერდიჩევი, ივან-პუსტი, ნოვოსელიცა. შემდეგ მთელი უკრაინა, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და აქ, ქალაქ ნოვო ტარგის მახლობლად, მთის კალთებზე გაშლილ ჰოსპიტალში გაისმა დიდი გამარჯვების სასიხარულო ხმა და ბერლინის დაცემის ამბავი. 1945 წლის ცხრა მაისი.

სიხარულმაც იცის ცრემლი.

და ახლაც ფატის თვალებში აბრწყინდა იგი.

— აქედან ფრონტზე გასვლისას ორასი მედმუშაკიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი თუ დაუბრუნდა საკუთარ კერას, —ნაღვლიანად ამბობს ფატი და იმ დაბრუნებულთა გვარებს ჩამოთვლის, — ექიმები გიორგი ინასარიძე, სუსანა სანამოვა და გიორგი ბოჭორიშვილი (უკანასკნელმა მარჯვენა ფეხი ყირიმის მიწაზე დატოვა), ექთნები მარო ჩადუნელი, ცაცა ხეჩიკაშვილი და ფატი.

ექიმი ხოფერია, სანიტრები გელაშვილი, ბურნაძე და სხვა მრავალი შეეწირა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების საქმეს.

ფატის დამსახურება მთავრობის ჯილდოებით იქნა დაფასებული. იგი დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. ხუთი წლის შემდეგ ომგადახდილი ექთანი ქალიშვილი კომუნისტური პარტიის მანდატით დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს.

და დღეს, როცა იმ წყეულ ომში დაკარგულ უმცროს ძმას, უამრავ მეგობარსა და ნაცნობს იგონებს, ამბობს:

— ჩვენს შვილებსა და შვილთაშვილებს არ მოსწრებოდეს ისეთი საშინელებისა და ხოცვა-ჟლეტის გამეორება.

**პარმენ ლორია.**

* * *



სურათებზე: მარცხნიდან — მ. ჩადუნელი, ფ. გეგუჩაძე და ს. სანამოვა.

## მეგობრობის გრძნობა

### ფართოვდება საქართველოს კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გრძნობა, რომელიც შეიძლება ადამიანმა განიცადოს, ეს არის მეგობრობის გრძნობა. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთდახმარების, შემოქმედებითი ურთიერთობის მაღალი პრინციპები.

ყოველდღიურად იზრდება ჩვენი ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. საქართველოს ასობით მშრომელი უკანასკნელ წლებში იყო საზღვარგარეთ. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სულ უფრო მეტი ხალხი ჩამოდის საქართველოში, ეცნობა ჩვენს ცხოვრებასა და მიღწევებს. სხვა სახელმწიფოთა ხალხებთან ქართველი ხალხის მეგობრული თანამშრომლობისა და კულტურული კონტაქტების შემდგომ განვითარებას ხელს უწყობს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება.

გარდა ამ საზოგადოებისა, ჩვენში შექმნილია მეგობრობის საზოგადოებათა რვა რესპუბლიკური განყოფილება — საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის, საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის, „სსრ კავშირი-იტალია", „სსრ კავშირი-საბერძნეთი". ისინი საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებს აცნობენ საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევებს, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს—საზღვარგარეთის მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებას.

საზღვარგარეთის ქვეყნებში რეგულარულად იგზავნება მხატვრული, პოლიტიკური და მეცნიერული ლიტერატურა. ფოტოექსპოზიციები, გაზეთები, ჟურნალები. მთელი ეს მასალა ჩვენს უცხოელ მეგობრებს შესაძლებლობას აძლევს გაიცნონ ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი შედეგები, რომლის განხორციელების შედეგად საქართველო აყვავებულ რესპუბლიკად იქცა. უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ ცხოველ ინტერესს იჩენენ საქართველოს ცხოვრებისადმი. ჩვენი მასალებით ეწყობა გამოფენები, იბეჭდება სტატიები გაზეთებსა და ჟურნალებში. ეწყობა აგრეთვე შეხვედრები კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა იმ მოღვაწეებთან, რომლებიც იყვნენ საქართველოში.

მეგობრობის საზოგადოებათა რესპუბლიკური განყოფილებების კოლექტიური წევრია ბევრი საწარმო, დაწესებულება, სასწავლებელი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. მათ საგულისხმო წვლილი შეაქვთ საზოგადოებათა მუშაობაში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ასეთსავე ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის 12 დარგობრივი სექცია—სამეცნიერო-ტექნიკური, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა სექციები. ისინი აერთიანებენ მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს, წარმოების მოწინავე მუშაკებს. ჩვენ ხშირად განვიხილავთ მეგობრობის საზოგადოებათა სექციებისა და განყოფილებების მუშაობას. ამას წინათ მოვისმინეთ აღმოსავლეთმცოდნეობის სექციის თავმჯდომარის, პროფესორ დ. ი. კობიძის მოხსენება. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების საქმიანობაზე ილაპარაკა ამ განყოფილების თავმჯდომარემ, პროფესორმა დ. ო. ლორთქიფანიძემ.

ორივე მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ი. ამირანაშვილმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა, შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ვ. დ. გუდიაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რ. რ. დვალმა, დოცენტმა ვ. გ. მაჭავარიანმა, პროფესორმა კ. გ. წერეთელმა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გიგოშვილმა და სხვებმა.

მეგობრობის საზოგადოების მუშაობა ყოველწლიურად სულ უფრო მრავალფეროვანი, მრავალმხრივი ხდება. ეს საზოგადოება ემსახურება ხალხთა მეგობრობის, ხალხთა თანამშრომლობის იდეას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის ინტერესებს.

**ზ. გემაზაშვილი,**
საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მთავარი რედაქტორი.

მხატვრის კვირეული

# ფიქრი, ლითონთან შერკინებული

**კედელზე** ლითონის ვეებერთელა თხელი ფირფიტა ჰკიდია. მისის ფერიდან ჩამოჭრილი მზის სხივები ნაირფერად ირეკლებიან ლითონის ზედაპირზე.

ამ ფერების ცისარტყელაში თანდათან შესამჩნევი ხდება ქართველი ქალის ფიგურა. დედა მახვილს ამოჰფარებია და შორს მთებიდან ამოხდომილი მზის ათინათი ოქროს გვირგვინად ადგას თავზე.

კედელთან საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი დგას. ახალი ნამუშევრისთვის, რომელსაც „მშვიდობა" ჰქვია, შემოქმედს თითქოს თავისი გულის სითბო გაუნაწილებია. ირგვლივ სალებავის კოლოფები ყრია, კედელზე სურათები, გრავიურები და ჭედური ხელოვნების მშვენიერი ნიმუშებია.

აქ, ამ მზიან სამყაროში თავისი ფიქრები და ოცნებანი გაუცოცხლებია მხატვარს. ამ ფიქრებთან და ოცნებებთან ერთად ვინ მოთვლის რამდენი ღამე შემოთენებია დიმიტრი ყიფშიძეს...

პირველი დიდი სიხარული სამხატვრო აკადემიის მესამე კურსზე რომ იყო მაშინ განიცადა. თბილისის 1500 წლისთავის იუბილე ახლოვდებოდა. დიმიტრი ყიფშიძემ ღირსეულ იუბილარს საჩუქარი უძღვნა. სამხატვრო გამოფენაზე მან წარადგინა ქანდაკება „ქართველი მებრძოლი". ამ ნამუშევარმა საერთო მოწონება ჰპოვა. წარმატებამ კიდევ უფრო გაუღვივა საოცნებო პროფესიისადმი სიყვარული.

მას შემდეგ ბევრმა ჩანაფიქრმა შეისხა ფრთები, ბევრმა თიხამ გაიარა მიტოს ხელში და იპოვნა თავისი ადგილი, ბევრი ლითონის ფირფიტა ამოიჭედა წერტილებად...

იგი გატაცებული იყო ჩვენი დიდი პოეტების შემოქმედებით. მათი გმირები საუბრობენ დიმიტრის სახელოსნოში.

აგერ, ფრთაჩამოგდებული არწივი თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს. ის „დაჭრილი არწივია", მაგრამ ბრძოლისათვის მზადმყოფი.

ეს რაღაა, — ადამიანი სინათლეს გაურბის, თავი მუხლებში ჩაურგავს და ფიქრობს. მას ალბათ სიბნელე იზიდავს.

დიახ! ის მხოლოდ ღამეს ანდობს თავის გულის საიდუმლოს. მას „მე და ღამე" ჰქვია.

იქვე, დიდ შავ ლითონზე ორთაბრძოლის სურათია ამოჭედილი. გველი კლდის ნაპრალებს ჩაჰხვევია და ცდილობს მოულოდნელი კბენით სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს. ბრგე ვაჟკაცს დროზე შეუნიშნავს მტერი. ლოდი აღუმართავს და სადაც არის თავს გაუპეჭყავს ქვემძრომს.



...და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი საინტერესო ნამუშევარია აქ, აი იმ ნამუშევარმა, ხევსური ქალის სახე რომ არის ამოჭედილი შავ ლითონზე, შარშან მოსკოვში სსრ კავშირის მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

დიმიტრი ყიფშიძემ ახლახან ამოჭედა ფერად ლითონზე დიდი ლენინის პორტრეტი. ბაგეზე ღიმილი, დაუღალავი ენერგიით მეტყველი სახე, მშრომელი ადამიანის კეთილდღეობისათვის მებრძოლი თვალები და მარად უჭკნობი შუბლი. აი როგორ გამოიყურება მხატვრის მიერ დიდი მონდომებით შესრულებული პორტრეტი „ლენინი".

მხატვარი კედელთან დგას და ფიქრობს.

და აქ, ამ მზიან სამყაროში — სახელოსნოში ოსტატს თავისი ფიქრები და ოცნებანი გაუცოცხლებია. ამ ფიქრებთან და ოცნებებთან ერთად, ვინ მოსთვლის, რამდენი ღამე შემოსთენებია დიმიტრი ყიფშიძეს. ეს ფიქრები და ოცნებანი ვინ მოსთვლის რამდენჯერ გალუმპულან წვიმით, დათოვლილან თეთრად, რამდენჯერ გაუყინავს დეკემბრის სუსხიან ქარს და რამდენჯერ გალღობილან გაზაფხულის მზიან დღეს.

**თ. ველიანი.**

• • •

**სურათზე:** დიმიტრი ყიფშიძის ერთ-ერთი ნამუშევარი — „გამარჯვება".

ფოტორეპროდუქცია ვ. ქისტაურისა.



**დარბაზში** ნელა ქრება სინათლე. ლოტბარმა დაწყების ნიშანი მისცა ორკესტრს, და ხალხით სავსე დარბაზს ჩაიკოვსკის მადლიანი მუსიკის მელოდიები მოეფინა.

სცენაზეა სიმფონიური ორკესტრი, რომლის შემადგენლობაში თითქმის 80 მუსიკოსია. საკონცერტო პროგრამა შედგენილია საბჭოთა და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებისაგან.

ამ ორკესტრში, დღეს მაყურებლების წინაშე რომ გამოდის, არ არის არც ერთი პროფესიული მუსიკოსი. თბილისის რკინიგზელთა კულტურის სახლის სახალხო ორკესტრში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფესიის მუსიკისმოყვარულნი, მათ ხელმძღვანელობს ლოტბარი იულია თავართქილაძე, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი კოლექტივი.

ორკესტრთან ერთად წარმატებით გამოდიან ექიმი მ. რუხაძე, ინჟინერი ე. პაპიაშვილი, რომლებიც ასრულებენ საოპერო არიებს.

ამას წინათ ორკესტრის კონცერტი ნაჩვენები იყო თბილისის ტელევიზიით. მაისში ორკესტრი გამოვა ბაქოს რკინიგზელთა სახლში.

**სურათზე:** ორკესტრის მონაწილენი მორიგი რეპეტიციის დროს.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

## სოფლის კოოპერატივი გამოფენის მონაწილეა

**წყალტუბო.** (საქ. კორ.). ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე წყალტუბოს რაიკოოპკავშირის პატრიკეთის სოფლის კოოპერატივი ზედიზედ გადაჭარბებით ასრულებს საქონელბრუნვის გეგმებს. კოოპერატივის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელში ფართოდ ინერგება მუშაობის პროგრესული მეთოდები, სულ უფრო უმჯობესდება სოფლის მომხმარებელთა მომსახურება. აქ მომხმარებელი ყოველთვის შოულობს მისთვის საჭირო საქონელს, რაც სოფლის კოოპერატივის გამგეობის კარგი მუშაობის შედეგია.

•

გაითვალისწინა რა მოპოვებულ წარმატებათა სტაბილურობა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტმა პატრიკეთის სოფლის კოოპერატივი, აგრეთვე მისი გამგეობის თავმჯდომარე შ. გურესაშვილი დაამტკიცა გამოფენის მონაწილეებად.

## როცა საქმე უყვართ

**უცნაური** ხალხია ავტომობილისტები. მათ თავდავიწყებით უყვართ მანქანა და არასოდეს არ მოსწყინდებათ ძრავში ქირქიტი. როცა ჩალაუბნის ქუჩაზე მოვიდნენ, მივარდნილი სარდაფი დახვდათ. ბევრი შრომა დახარჯეს, მოსწავლეებიც დაიხმარეს და თავისი ხელით შექმნეს საკლასო ოთახები, რომლებსაც ყველაფერი აქვს რაც მომავალ შოფერს სჭირდება.

დოსააფის ავტომოტოკლუბის სკოლაში ბევრი ახალგაზრდა სწავლობს შოფრობას. ოთხითუთი თვის განმავლობაში მომავალი მძღოლები ღრმად ეუფლებიან თეორიას, პრაქტიკას და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე იწყებენ მუშაობას.

თავისი საქმის კარგი მცოდნეები არიან ავტომოტოკლუბის უფროსი გ. ქვათაძე, მასწავლებლები ა. ტურაშვილი და რ. ხაჩიკიანი, საწარმოო სწავლების ინსტრუქტორები მ. კაკოშვილი, მ. ქობულიძე და სხვები. მათ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ჩალაუბნის ქუჩის სარდაფი შესანიშნავ სახელოსნოებად და საკლასო ოთახებად ექციათ.

სკოლაში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ მსმენელებმა უკეთ შეისწავლონ მოძრაობის წესები, აითვისონ ძრავების რთული კვანძები. რამდენიმე გამოგონების ავტორია ინსტრუქტორი მ. კაკოშვილი. უკანასკნელად მან გამართხილებელი საგზაო ნიშნებისა და მაჩვენებლების ორიგინალური სადემონსტრაციო საგამოცდო დაფა შექმნა. ეს არის არცთუ დიდი ეკრანი, რომელიც ბატარიაზე მუშაობს. უკან აქვს სამართავი პულტი. მისი გადატანა ადვილია არა მარტო კლასიდან კლასში, არამედ მინდვრადაც. ეკრანზე გამოკვეთილად გამოჩნდება შუქნიშანი, რომელიც მსმენელმა უნდა იცნოს. ეს კი ხელს უწყობს მხედველობითი მეხსიერების განვითარებას.

სკოლაში სულ ახალ-ახალი ნაკადი მოდის და სწავლა თავიდან იწყება. ისინი კი, ვისაც მომავალი შოფრების აღზრდა ევალება, ყოველთვის იმაზე ფიქრობენ, თუ რა გააკეთონ ახალი, რომ გააადვილონ სწავლის პროცესი.

**ო. მუჯირი.**

## ერთი რაიონის ქრონიკები

◆

# დღეს ქარელში




### ახალი საავადმყოფო

**მშრომელთა** ჯანმრთელობის დაცვის კერებს სულ მალე შეემატება ახალი საავადმყოფო. იგი ასსაწოლიანი იქნება. ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საავადმყოფოს მშენებლობა. მას ექნება თერაპიული, ქირურგიული, სტომატოლოგიური და სხვა კაბინეტები, აგრეთვე ბავშვთა და ქალთა სპეციალური სამკურნალო განყოფილებები.

საავადმყოფოს მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მაისის ბოლოსათვის.

რაიონის ცენტრში ლამაზად გაფორმებულ შენობაში მოთავსებულია აფთიაქი, რომელსაც აქვს ცენტრალური გათბობა. აფთიაქი უზრუნველყოფილია საჭირო მედიკამენტებითა და კვალიფიციური კადრებით.

### კულტურის კერები

**ასფალტირებულ** ქუჩაზე ხელმარცხნივ დგას შესანიშნავი ნაგებობა. ეს არის კულტურის სახლი. აქ მუშაობს სხვადასხვა წრეები, იმართება საღამო-წარმოდგენები, შეკრებები, შეხვედრები. იქვე ახლოს რაიონის ცენტრს ამშვენებს ფართოეკრანიანი კინოთეატრის შენობა.

რაიონული ბიბლიოთეკა მდიდარია მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით. რაიონის ცენტრში ორი საშუალო სკოლაა, სადაც 1.500-მდე ბავშვი სწავლობს.

### კეთილმოწყობა

**წლების** მანძილზე ვერ მოხერხდა რაიონის ცენტრში კანალიზაციის მოწყობა. წელს დაიწყო კანალიზაციის დიდი სამუშაოები. ცენტრალური ქუჩის სიგრძეზე ადრე დილიდან გვიან ღამემდე არ წყდება მუშაობა. უკვე გაჭრილია არხი დიდი მილების ჩასაწყობად.

მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს კანალიზაციის სამუშაოები აპრილის ბოლომდე დაამთავრონ.

### საწარმოები, მაღაზიები

**რაიონის** ცენტრში მუშაობს ვეტსამკურნალო ლაბორატორია, საინკუბატორო სადგური, სავაჭრო მაღაზიები, კიოსკები. რაიკავშირის ახალი ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე მოთავსებულია კარგად მოწყობილი უნივერსალური მაღაზია. რაიონის ცენტრს აქვს აგრეთვე ხილკონსერვების ღვინის ქარხანა, ხილბოსტნეულის ქარხანა.

### ქართული შაქარი

**აგარა** კარგად არის ცნობილი არა მარტო ქარელის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. აქ არის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი **საქართველოს შაქრის კომბინატი.** ამ კომბინატში ხდება გორის, ქარელის, ხაშურის, მცხეთის, კასპის რაიონებიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჩაბარებული შაქრის ჭარხლის გადამუშავება.

ეს კომბინატი სეზონში ამუშავებს ათეულ ათასობით ტონა შაქრის ჭარხალს და უშვებს ათასობით ტონა ქართულ შაქარს.

## კოსმონავტების სახელობისა...

**კოსმონავტების** დღესთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა **გადაწყვიტა:**

მშვენიერ მტკვრის მარცხენა სანაპიროს მონაკვეთს დიდუბის ხიდიდან ჩელუსკინელების ხიდამდე ეწოდოს გმირი კოსმონავტების სახელი და ამიერიდან იწოდებოდეს **კოსმონავტების სახელობის სანაპირო.** (საქინფორმი).

## იშვიათი შემთხვევა

### ძროხამ სამი ხბო მოიგო

**აბაშა.** (საქ. კორ). მარნის კოლმეურნეობის წევრის თამარ პირტახიას ოჯახში თებერვლის შუა რიცხვებში ადგილობრივი ჯიშის საშუალო ტანის წითელმა ძროხამ სამი ხბო მოიგო. მათ შორის ორი საფურე.

ხბოები ნორმალურად იზრდებიან.

## ჩემპიონატები • ტურნირები

### ლიდერი ქულებს აგროვებს

**გასულ** კვირადღეს კიევის ჯგუფში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები ხელბურთში. თბილისელთა პირველი წარუმატებლობის შემდეგ ამ ჯგუფში დაუმარცხებლად მხოლოდ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის და ქ. ტირასპოლის გუნდები იბრძოდნენ. ამიტომ მთავარი ყურადღება სწორედ ამ გუნდების შეხვედრებისადმი იყო გამახვილებული.

ტირასპოლელთა ბრძოლას თბილისის „ბურევესტნიკის" წინააღმდეგ მათთვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. მატჩი თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და გამარჯვებაც მათ ხვდათ ანგარიშით 26:22. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს ამჯერადაც არ უღალატნია ტრადიციისათვის, მათ დაამარცხეს მოსკოვის „ტრუდი" 18:8.

**გუშინ** თბილისის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" 22:21, მოსკოვის „ტრუდმა" — ქ. ტირასპოლის გუნდი 23:22. ლიდერობას მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი ინარჩუნებს.

### ნ. მოროზოვის აზრით

**ზაგრების** გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი" ათავსებს თავისი კორესპონდენტის ვ. ლალიჩის საუბარს საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ნ. მოროზოვთან,** რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის პრობლემებს შეეხო.

კორესპონდენტის კითხვაზე, შეძლებენ თუ არა ბრაზილიელები ლონდონში მესამედ მოიპოვონ მსოფლიოს ჩემპიონობა, საბჭოთა მწვრთნელმა უარყოფითად უპასუხა. მან მსოფლიოს ჩემპიონობის ყველაზე შესაძლებელ პრეტენდენტებად მიიჩნია ინგლისელები და ესპანელები. შემდეგ კი — იტალიელები. ნ. მოროზოვმა მაღალი შეფასება მისცა უნგრელების თამაშსაც და ჩათვალა ისინი საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად.

რომელ ადგილს დაიკავებენ საბჭოთა ფეხბურთელები? — შეეკითხა ვ. ლალიჩი მწვრთნელს. მოროზოვმა ამ კითხვაზე პასუხისაგან თავი შეიკავა და განაცხადა, ამაზე თავიანთი აზრი დაე სხვა სპეციალისტებმა გამოთქვანო.

რაც შეეხება იუგოსლაველებს, ისინი მოხვდებიან მსოფლიოს 8 უძლიერესი გუნდის რიცხვში, თუ რა თქმა უნდა, შესარჩევ თამაშებში სძლიეს ფრანგებს. ამ შეხვედრების წინ მოროზოვმა უპირატესობა იუგოსლაველ ფეხბურთელებს მიანიჭა.

### ბ. სპასკის ორი გამარჯვება

**11 აპრილს** შედგა პრეტენდენტთა რიგის მეოთხედფინალური საჭადრაკო მატჩის მეოთხე პარტია. თეთრებით პ. კერესი თამაშობდა.

დებიუტიდან მეტოქეებმა დაახლოებით თანაბარი პოზიცია მიიღეს, მაგრამ პ. კერესმა შეცდომა დაუშვა და მე-40 სვლაზე დამარცხდა.

გუშინ გადადებული პარტიის დამთავრებისას ბ. სპასკიმ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ანგარიშია 2,5:1,5 ლენინგრადელი გროსმაისტერის სასარგებლოდ.

კომუნისტი სპორტი

### კვლავ დიდი სინანული

**მილანში** დამთავრდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირი წყალბურთში. სსრ კავშირის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის გუნდი, რომელმაც სტარტზე დამარცხება განიცადა, შემდეგშიც წარუმატებლად გამოვიდა — წააგო მატჩი ბელგრადის — „პარტიზანთან" 2:6 და ფრედ (4:4) დაამთავრა შეხვედრა მაგდებურგის „დინამოსთან".

პირველ ადგილზე გამოვიდა იტალიის „პრორეკო". საბჭოთა წყალბურთელებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს.

◆

### მესამე დამარცხება

**გუშინ** თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გორკის „ვოლგასა" და თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდები. თბილისელებმა მესამე დამარცხება განიცადეს ზედიზედ. ამჯერად მათ წააგეს მატჩი 0:2.

### სპორტული ქრონიკა

▲ **ტირანაში** გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ შვეიცარიისა და ალბანეთის ნაკრები გუნდები. შეხვედრის შედეგია 2:0 შვეიცარიელთა სასარგებლოდ.

▲ **ბუდაპეშტში** გამართულ ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოვიდა ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი უნგრელი **ი. ფელდი.** მან აჰიმა 128 კილოგრამი და ქვემსუბუქ წონაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

## სპორტული სანახაობა და ნერვები

**რა უნდა ვიცოდეთ ფეხბურთის მატჩის ყურების დროს ჯანმრთელობის დასაცავად**

**ჩვენს** დროში დიდია ინტერესი სპორტისადმი. დღეს სპორტის ყველაზე მასობრივი სახეა ფეხბურთი. ვერ ნახავთ ქვეყნის ვერც ერთ კუნჭულს, სადაც გატაცებული არ იყონ სპორტის ამ სახით.

ფეხბურთის თვითეულ გულშემატკივარს თავისებური, პირადი შეხედულება აქვს შეჯიბრების მიმდინარეობაზე, გუნდების თამაშის სტილზე, მოთამაშეთა ხასიათზე, მსაჯთა ობიექტურობაზე, მომავალ პერსპექტივებზე. ფეხბურთის ყოველ გულშემატკივარს ჰყავს თავისი საყვარელი გუნდი.

ფეხბურთი დიდი ემოციური სანახაობაა. მაყურებელზე მისი ზემოქმედება წარმოადგენს ერთგვარ მასობრივ ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს — თამაშის დროს მჟღავნდება ადამიანთა ნაირსახოვანი ემოციური რეაქციები.

ნერვული სისტემის სუსტ ტიპებში ეს ემოციური რეაქციები თავშეუკავებლობაში გადადის, რაც გამოწვეულია თავის ტვინის ქერქის შეკავებითი პროცესების სისუსტის გამო. ი. სეჩენოვმა და ნ. ვედენსკიმ დაამტკიცეს, რომ შეკავება თავისებური აქტიური პროცესია, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია აგზნებასთან. ი. პავლოვის მიხედვით, შეკავებას მიეკუთვნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი — დაიცვას ნერვული უჯრედები გამოფიტვისაგან, დაღლისაგან.

თავის ტვინის ქერქის შეკავებითი პროცესების სისუსტე, გარდა ნერვული სისტემის სუსტი ტიპებისა, აქვთ ჰიპერტონიული დაავადებით, სტენოკარდიით, ნევრასთენიით შეპყრობილებს, უძილობით, მძიმე მუშაობით გადაღლილთ, აგრეთვე მთვრალ მდგომარეობაში მყოფებს. ამიტომ ასეთი პირები სჯობს მოერიდონ ფეხბურთის მატჩზე დასწრებას.

ფეხბურთს ათასობით მაყურებელი ჰყავს. მატჩის მიმდინარეობა აღსავსეა სასიამოვნო სუბიექტური განცდით, ე. წ. დადებითი ემოციით. და უსიამოვნო სუბიექტური განცდით — უარყოფითი ემოციით. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციებს ახლავს მკვეთრი ვეგეტატიური რეაქციები: გულის აჩქარება, სისხლის არტერიული წნევის მომატება, გადაჭარბებული ოფლიანობა, კანის სისხლძარღვოვანი რეაქციები გაწითლების ან გაფითრების სახით, აგზნების პროცესების გამომჟღავნება და ა. შ.

როდესაც ფეხბურთის მთელი მატჩის მანძილზე მაყურებელი დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს თამაშის მსვლელობას, ავადმყოფურად განიცდის მსაჯთა სულ მცირე, სადავო ხარვეზს, გუნდის უტაქტობასა და სიტლანქეს, ან, უფრო მეტი, როდესაც ზოგიერთი „ჭეშმარიტი გულშემატკივარი" ვერ ურიგდება მოწინააღმდეგე ფეხბურთელის წესიერ თამაშსაც კი, მაშინ ის უნებლიეთ გადადის ნამდვილი რეაქციული ნევროზის მდგომარეობაში, ყვირის, უსტვენს, ხელებსა და ფეხებს ურტყამს მეზობლებს, უდიერი სიტყვების კორიანტელს აყენებს და შესაძლოა გადავიდეს პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

ვინც ფეხბურთის მატჩს დასწრებია, ასეთი გამოვლინება, ალბათ, პირადად უნახავს ან განუცდია.

ფეხბურთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად სასიამოვნო მასობრივი გართობაა და მისი ნახვა აქტიურ დასვენებას მიეკუთვნება. დიდი რუსი ფიზიოლოგი ი. პავლოვი დასვენების მიზნით სისტემატურ ფიზიკურ შრომას ეწეოდა და სხვებსაც ურჩევდა დასვენების მიზნით გონებრივი შრომა შეეცვალათ ფიზიკურით და, პირიქით; ეს ახალ ენერგიას და ჩვეული შრომის უნარის გაძლიერებას იწვევს. ვისაც სურს განიცადოს ფეხბურთის მშვენიერება, მან შეკავებითი პროცესების გაძლიერებისათვის უნდა იზრუნოს. შეკავება კი, პავლოვის ხატოვანი გამოთქმით, ცივილიზაციის შედეგია.

ქართველი ხალხი ძველი, დიდი კულტურის მატარებელია. ჩვენი ხალხი წარსულში თავისი განსაცდელის მძიმე პერიოდშიც ყოველთვის დარბაისლურად, თავდაჭერილობით ატარებდა სპორტულ ღონისძიებებს თვით მტერთანაც კი.

ეს ტრადიცია ავალებს ფეხბურთის დღევანდელ მაყურებელს დიდი პატივითა და სიყვარულით მოეპყრას ტყავის ბურთის მოთამაშეებს მოედანზე.

მატჩის მიმდინარეობისას მთავარია დაგვაინტერესოს თვით თამაშის კომბინაციებმა, ფეხბურთელის მაღალმა ოსტატობამ, მისმა გაწვრთნილობამ. როგორც შენთვის საყვარელი, ისე მოწინააღმდეგე გუნდის სპორტულმა მიღწევამ ვიწრო ეგოისტური და უსაფუძვლო მიკერძოების გამოჩენილად. ასეთი განწყობით ადამიანი ფეხბურთისაგან მიიღებს მეტად სასიამოვნო განცდასა და სულიერ კმაყოფილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უარყოფითი ემოციების გავლენით შესაძლოა განვითარდეს ნერვული სისტემის აგზნებულობის მომატება. მისი საზიანო გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ზოგჯერ სიცოცხლეზედაც კი.

**პროფესორი ა. მინდაძე.**

## ტანვარჯიშის დღესასწაული

**ამ დღეებში** თბილისს ეწვივნენ სსრ კავშირის სახელმოხვეჭილი ტანმოვარჯიშეები, რომლებსაც არაერთხელ მოუპოვებიათ მსოფლიოს, ოლიმპიურ ასპარეზობათა და ევროპის პირველობებზე ჩემპიონისა და პრიზიორთა ტიტულები.



ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში ეს უთუოდ თვალსაჩინო მოვლენა იყო. ტანვარჯიშის დღესასწაულს არა მარტო გამოცდილების გაზიარების, არამედ სპორტის ამ სახეობის ფართო პოპულარიზაციის მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, ასპარეზობის ორგანიზატორებმა სათანადო პროპაგანდა ვერ გაუწიეს მას, ნაკლებად იყო გამოყენებული პრესა, რადიო, აფიშები. ამიტომ ბევრმა ვერც კი გაიგო, რომ სპორტის სასახლეში გასულ კვირადღეს ასეთი შეჯიბრება ტარდებოდა და, ბუნებრივია მაყურებელიც ნაკლები იყო.

ტანვარჯიშულ იარაღებზე ვხედავდით საერთოდ აღიარებულ სპორტსმენებს: **ლ. ლატინინას, ი. ტიტოვს, პ. ასტახოვას, ვ. კერდემელიდის, ლ. სავინკოვას, ვ. ლეონტიევს...** მათთან ერთად თავიანთი ოსტატობა გვიჩვენეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — **დ. ჯანუყაშვილმა, ე. ბენიძემ, ც. ჭკადუამ, რ. ბერიკაშვილმა, ი. მახარაძემ, ნ. მაკალათიამ, ი. ნინოშვილმა, რ. კაჭახიძემ, ა. ფარულავამ, ს. სხირტლაძემ** და სხვებმა.

უძლიერესთა გამოსვლები მოეწყო აგრეთვე მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში.

ჩვენმა სტუმრებმა აჩვენეს მაღალი ოსტატობა. მაყურებლები მათ ერთსულოვანი ტაშით აჯილდოებდნენ. სპეციალური პრიზები მოიპოვეს: ძელზე ვარჯიშში — **ლ. ლატინინამ,** ტაიჭზე ვარჯიშში — **ვ. კერდემელიდიმ,** მხატვრულ ტანვარჯიშში — **ლ. სავინკოვამ,** ნაირსიმაღლის ძელზე ვარჯიშში — **გ. პოდვირნაიამ,** თავისუფალ ვარჯიშში — **ვ. ნეჩაევმა,** რგოლებზე ვარჯიშში — **ი. ნინოშვილმა,** თავისუფალ ვარჯიშში ქალთათვის — **პ. ასტახოვამ,** ძელზე ვარჯიშში — **ი. ტიტოვმა.**

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან გამოცდილ ოსტატებს. საჭიროა ტრადიციის აღდგენა, რომელიც თავისთავად როდი მოვა.

• • •

**სურათებზე:** ზემოთ — ლ. სავინკოვა; ქვემოთ — ვ. კერდემელიდი.



# ოფიციალური ცხრილი

**მომგებიანი ანაბრების მოგებათა 45-ე ტირაჟისა,**

რომელიც შედგა ქ. ორჯონიკიძეში 1965 წლის 7 აპრილს

**მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების ანგარიშების შემდეგ ნომრებს:**

| ანგარიშების № | მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან | ანგარიშების № | მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან |
|---|---|---|---|
| ა 25 | 25% | ა 518 | 25% |
| ა 64 | 25% | ა 546 | 25% |
| ა 110 | 25% | ა 586 | 50% |
| ა 158 | 25% | ა 612 | 50% |
| ა 189 | 25% | ა 655 | 100% |
| ა 218 | 25% | ა 689 | 25% |
| ა 266 | 25% | ა 751 | 25% |
| ა 304 | 25% | ა 789 | 25% |
| ა 323 | 25% | ა 818 | 25% |
| ა 373 | 25% | ა 864 | 25% |
| ა 424 | 100% | ა 898 | 25% |
| ა 443 | 25% | ა 923 | 25% |
| | | ა 985 | 200% |

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი ათასზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიცაა პირველ ათასეულში ე. ი. №№ ა 1025, ა 2025, ა 1064, ა 2064, ა 1110, ა 2110 და ა. შ.

**ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქ. დევდარიანი**

**სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქ. სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი ა. შტეინბერგი**

**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი — საქ. სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი რ. ჩანტლაძე**

## ტელევიზია

**13 აპრილი**

11.00 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ" (მეცხრე გაკვეთილი), 11.20 — მხატვრული ფილმი „მანანა", 12.30 — მხატვრული ფილმი „მოწყალების მატარებელი", 17.55— გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის სატელევიზიო ჟურნალი „ჯეჯელი", 18.40 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ" (მეცხრე გაკვეთილი), 19.00 — მოსწავლეთათვის „გიყვარდეთ მუსიკა", 19.20 — კინონარკვევი, 19.40 „კომკავშირული ტელეპროჟექტორის შუქზე", 19.55 — ვიქტორინა, 20.15 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში „მეცნიერება — სოფლის მეურნეობას", 20.35 — განცხადებები, 20.40 — კონცერტი „ახალი კინოფირები, 21.05 — ახალი ამბები, 21.20 — გადაცემა „დიდი სტარტის წინ", 22.40 — კინონარკვევი, 22.50 — სატელევიზიო ახალი ამბები. გადმოცემა მოსკოვიდან.


## ნუ ვჩხუბობთ, ნუ ვლაპარაკობთ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი




საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ქალაქ თბილისში 1965 წლის 18-22 აპრილს აწყობს

**სარესპუბლიკათაშორისო საბითუმო ბაზრობას სახალხო მოხმარების საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის.**

ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა სისტემის საბითუმო, საცალო ვაჭრობის და საწარმოო წამოწყებათა ორგანიზაციები როგორც საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან, ისე მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან.

**ბაზრობაზე ფართო ასორტიმენტით იქნება წარმოდგენილი სამრეწველო და სასურსათო საქონელი.**

**ბაზრობა მოეწყობა ქ. თბილისის**

**სპორტის სასახლეში**

ბაზრობის ყველა საკითხზე მიმართეთ:

ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 9 საქართველოს სავაჭრო საშუამავლო კანტორა. ტელეფონები: 5-76-40 და 5-76-70.

**საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.**


## თეატრები

**13 აპრილი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ლუჩია დი ლამერმური (22-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა და გაცდენილი აბონემენტები), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — სეილემის პროცესი (მე-7 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — კახაბერის ხმალი (მე-14 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩანიტას კოცნა (მაყურებელთა დარბაზი რადიოფიცირებულია. წარმოდგენა ითარგმნება რუსულ ენაზე), **სანკულტურის** — ცირუ (მე-4 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (მე-5 აბონ. მე-7 წარმ.).

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 3-93-09, რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული— 9-87-61, პროპაგანდის— 3-22-93, მრეწველობის— 3-20-54, სოფლის მეურნეობის— 9-53-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-15-63, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-23-54, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04704 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.